თქველს ანათავსოვს მოქალაქის ჯანმრთელობა შეინიშნება ბალნიოლოგიური პურიტიზაციის გამო. რას იზამდა ამის შემდეგ ხარბ გარემოცვაში გაზრდილი ნინო ბურჯანაძე? მართალია, იდგა (არა, რა იდგა, პარლამენტის თავმჯდომარის საკრებულოში იდგა!) და ურტყამდა „ნოტარიუსის“ ბეჭედს „ნაცხელისუფლების“ ყველა ხუშტურს — ნავიდა საკანონმდებლო ცვლილებები რახარუხით... შიშვან-შეშვან პოლიტიკური განცხადებებით „აპარაჟებდა“.

როცა 2007 წლის 7 ნოემბერს ბარბაროსობით ბანრისხეხული ამომრჩეველი სააკაშვილისთვის „ნინოს აბაზას“ პირდაპირი საპარტიო ურთიერთან აპირებდნენ, პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებელი ბურჯანაძე მისი „ნოტიუსი“ აბაზას ურთიერთად დასაბრებელი ხელისუფალი სააკაშვილიც მართალია, როცა ხალხს „აბაზალებს“... ეს რაღაც სინხვლებზე „ელემენტარულ პოლიტიკაში“!

მოდო და ნუ გაიზიარებ საკინოვანების კორესპონდენტის გაოცებას: **„როგორი „სიტყვა“ უნდა იყო, რომ ნინო ბურჯანაძე-ნახევრის განმარტებით (2003 წლის ნოემბრიდან — 2008 წლის ივნისამდე) ხელისუფლება შეისახებოდა იცოდა, მისი მოვალეობის დატოვება განარაგებდა. 2008 წლის იანვარში კი, პრეზიდენტის ინაუგურაციაზე, როდესაც „ტყეის ცეცხლი ეკიდა და ტურები ქორწილს ეშურებოდნენ“, მეორე ვადით არჩეულ სააკაშვილს გუნდურუკი უკმია.**

ბურჯანაძე სიმართლეს იცნობდა, მაგრამ დამალა — რეზიდენტობის მეორე კანდიდატთან გამართულ ფარულ ვაჭრობაში სწორედ ის ასრულებდა აქტიურ როლს (ამას ახლა არც მალავს!). მას ალარ გახსენებია საკუთარი პასუხისმგებლობა. მაგრამ, როცა შეახსენეს, ლანგუნი არ შეეფერებოდა, დაგვანუნათა, „ელემენტარული პოლიტიკური ცოდნის“ არქონის გამო:

„ორი წლის წინაც იდგა უსამართლო სასამართლოს პრობლემა, ქონების ჩამორთმევის, ადამიანის პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრების პრობლემა, მაგრამ ეს არ იყო იმდენად ღრმად ნასული, როგორც დღეს. მე ვიყავი იქ, სადაც ვიყავი. პარლამენტის თავმჯდომარის ადგილზე ამ

გამოუცდელი და უტყინო კაცი“. ამ შემთხვევაში დაეჯერება, რადგან **„ნაციონალიზმ“** სწორედ მაჭავარიანს და აპისრა საბანკო მისია — ბურჯანაძის თანხმობის, რომ დასაპარკო კიდევ ბევრი აქვს და, აბარაპის ამბავი რა სათვალავში ჩასაბღვინა, ისეთივე ამოუქაძავენი მამისა თუ ძმის საძმინოვანიდან, მარბალიტების „დალოგარაჟება“ დასჭირდება. თანაც მაჭავარიანს უფრო შეუძლია („შპარგალ-კაც“ არ სჭირდება მასთან სასაუბროდ — სულ ზეპირად იცის ამ ლეგენდარული ოჯახის ავლადიდება) ბურჯანაძის დარწმუნება, აქტიურად ამოუდგეს მხარში ერთ დროს მშობლიურ პარტიას და პირადად სააკაშვილს, თორემ — **„ნინო, ხო იგი, რა გიჟია, თუ მოეპრინა, ყველაფერზე წამსვლელია“.**

ბურჯანაძე იცის, რომ „უნდა იცნოდ, მტერი მოყვარედ აქციო“. „ნაციონალების“ თამაშის წესებსაც კარგად იცნობს. ვერ ვიტყვი, ძალიან შეზინდა-მეთქი, მაგრამ ფაქტია, იგი ამ თამაშში ძალიან აქტიურობს და ცდილობს, შემოიკრიბოს ის ელექტორატი, რომელიც ხელისუფლებისთვის „ნეგატიურ ხმაზე“ განიხილებს. ამით სააკაშვილის ხელისუფლების გულსაც მიიღობს და ორგანო სარეზივანო დასაბრებელი ხელისუფლების ნახევარ-სამართლიანობა არ მოგეთხოვება? მაგრამ ეს ბურჯანაძისთვის უცხო ხილია. მისთვის სამართლიანობა ერთ ლარად დახურდა. ხოლო რით არის გაუღენილი მისი სიმართლის გზის მანათობელი ლამპარი, ამის მიხედვით თქვენც არ გაგიჭირდებათ. ამ ლოგიკით გამოდის, რომ ბურჯანაძე მასწავლებელია. ქვეყნის უმაღლესი ხელისუფალი სააკაშვილიც მართალია, როცა ხალხს „აბაზალებს“... ეს რაღაც სინხვლებზე „ელემენტარულ პოლიტიკაში“!

სხვა ახლა ქართულ პოლიტიკაში: **„თავისუფალი რადიკალი“** (ბურჯანაძე და კიდევ რამდენიმე ლიდერი) ურთიერთმომადგენელი „სტაბილური მოლაპარაკებების“ (ინტელიგენცია, აქტივისტები) და უსანიტო ბარბაროზებისგან რადიკალიზაციის შიშვანით დასაბრებელი მიზნით. როგორც უნდა იცნოდ, უნდა ვივარაუდოთ, რომ იგი საკუთარი ოჯახისა და ქონების მძევალი გახდა.

ამიტომაც დაბნეულია „თავისუფალი რადიკალი“ ბურჯანაძე. კი ჩაერთო (და აქტიურად) პოლიტიკური ველის მოსუფთავებაში მოულოდნელად (?) მოსალოდნელი ვადამდელი არჩევნების წინ, მაგრამ დარწმუნებული არ არის, რომ მსუყე ლუქმას არ ატყობს. მისთვის მთლად ავტორიტეტი არ არის პარლამენტის ვიცესპიკერი მიხეილ მაჭავარიანი, რომელიც ერთ დროს მისი, როგორც პარლამენტის თავმჯდომარის, კაბინეტის უფროსადაც მუშაობდა, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ **„მაჭავარიანი არ არის**

ბონდო კიინარაჟილი

«ГРҮЗ-200» საქართველოსკენ ისევ დაიძრა

ვისაც ავღანეთის ღამის ცაში „შავ ტიტებად“ (Черный тюльпан) წოდებულ სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავით არ უმგზავრია გაურანდავი ფიცრებისგან შეკრულ ყუთებს შორის, იმან არ იცის, რა უბედურებაა სხვის მინაზე სიკვდილი, ხელისუფალის ახირებული სურვილის მიზეზით.



არავითარი გმირობა და სამშობლოსთვის თავგანწირვა!
იმ ყუთებში ინვინდ ავღანეთის მინაზე დაღუპული ჯარისკაცები. იმათ სხვები აცილებდნენ, ჯერჯერობით ცოცხლები, რომლებიც ხვალ შეიძლება „ГРҮЗ-200“ გამხდარიყვნენ — გაურანდავი ფიცრებისგან შეკრულ ყუთებში მოთავსებული „ტვირთი 200“.

თვის, მაგრამ გმირობისა — არასოდეს, მით უფრო მაშინ, როცა ავღანეთის სახელმწიფოებრიობის მოწყობაში გარეშე ძალები თავიანთი არმიებით ეროვნენ.

საბჭოთა კავშირმა თავის დროზე ავღანეთიდან გამოიყვანა ჯარის შეზღუდული კონტინგენტი. დამოუკიდებელმა საქართველომ, ამერიკელების გულის მოსაგებად, „ტერორიზმთან ბრძოლის“ დროში შეიყვანა და ზრდის თავის კონტინგენტს.

ვიღაც მეორეხარისხოვანი ჩინოვიანი აშშ-ის ადმინისტრაციიდან, თუნდაც ნატოს გენერალური მდივანი, მიხეილ სააკაშვილს ავღანეთის ავანტიურაში მონაწილეობის გამო შეაქებს... ქართველი ბიჭები კი იღუპებიან.

22 თებერვალს გაერო-ს მხარეში ინფორმაციით, კაპრანოვი გიორგი ავალიანი, რომელიც 32-ე ბატალიონის შემადგენლობაში სამშვიდობო მისიის ფარგლებში ჰელმანდის პროვინციაში მსახურობდა, სამხედრო დავალების შესრულების დროს ნაღმზე აფეთქდა.

ამაოდ შეჰლაღებდა ჯანსუღ ჩარკვიანი ზეცას: „საქართველო, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“
ვინ მისცა და — სააკაშვილმა, რომელიც ამ ტრაგიკული სის უშუალო შემოქმედია: ჯერ, 2010 წლის 6 სექტემბერს 31-ე ბატალიონის მეთაური ნუგზარ შუკუანი დაიღუპა, 30 სექტემბერს — ნუგზარ კალანდიაძე, გიორგი კოხლიაშვილი, დავით ცეცელიძე და რამაზ გოგიაშვილი.

ცინიკოსი პრეზიდენტი კი ბედავს და გიორგი ავალიანის ოჯახს სამძიმარს უცხადებს — სასიკვდილოდ გასწორდა და ახლა გული ეთუთება...
შეიძლება ეს ის შემთხვევაა, როცა სისხლის ალების წესის კანონით აკრძალვა ჭირისუფალს ნაადრევად მოეჩვენოს.

საკაშვილი სამძიმარს უცხადებს ქართველ ხალხსაც. აი ეს კი სიმართლესთანაა ახლოს — სამძიმარი გვეთქმის, ასეთი პრეზიდენტი რომ დავსვით ქვეყნის მმართველის ტახტზე!

„ГРҮЗ-200“ ისევ დაიძრა საქართველოსკენ, შპშ-ის!

პაქისტანელი



ზორან ბანი,
აშშ-ის ელჩი საქართველოში:

გამჭვირვალე ბიზნესგარემო აუცილებელია, თუკი საქართველოს სურს, ისეთი სახელმწიფოებიდან, როგორცაა იაპონია, კორეა და ინდოეთი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მოიზიდოს. გადწყვეტილებას ინვესტორები „ჯიბით იღებენ“. ისინი ფულს იქ აბანდებენ, სადაც ბიზნეს-შესაძლებლობის გამოყენება შეეძლება და გადასახადების ან რეგულაციების შესახებ კაპრიზული გადაწყვეტილებების მსხვერპლი არ გახდებიან; ან არასამართლიანი კონკურენციის პირობებში არ აღმოჩნდებიან იმის გამო, რომ ბაზარზე რეგულაციები და წესები ვინმესთვის უპირატესობის მისანიჭებლად უცებ შეიცვალა.

„რეზონანსი“



ირაკლი ალასანი,
„თავისუფალი დემოკრატის“ ლიდერი:

ხელისუფლების ქმედებები ბავშვურ ინფანტილიზმს ჰგავს — სთხოვენ ლიდერებს, ოპოზიციას არ შეხვედეთ, და ვერ ხედავიან, რომ უკუშედეგს იღებენ. ძალიან გამოვიკრიბე, როცა ვამინგტონში მითხრეს ნინა ვიზიტისას, რომ პირდაპირ პრემიერი ურეკავდა მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებს და ეუბნებოდა, ცუდად იქნება აღქმული, თუ ოპოზიციის ლიდერს — ალასანიას შეხვედებით. ეს სასაცილოცაა და გულსატკეპნიც, რადგან პრემიერი გაცილებით მნიშვნელოვანი საკითხებით უნდა იყოს დაკავებული.

საქინფორმი



დავით მალრაძე,
„დაიკავი საქართველოს“ თავმჯდომარე:

იმ ადამიანებისთვის, რომლებიც დღეს ხელისუფლებაში არიან, წარსული ჩავლილი ამბავია და, თუ ამ ლოგიკით მივყავით, მაშინ პირველყოფილ თემურ ნყობილებას უნდა დავუბრუნდეთ. წამლილი წარსულითა და უარყოფილი ისტორიით არათუ სხვებს ვერ დავაინტერესებთ, არამედ ქვეყანას მომავლის გზასაც ვერ დავუსახავთ.

საქინფორმი



სოსო ციხარაიშვილი,
პოლიტოლოგი:

საკაშვილმა შესანიშნავად იცის, რა პოლიტიკური გარემოცვის ამარა დარჩენილი. მას არც ერთის მიმართ არ აქვს ილუზიები, უბრალოდ, მათი საჯაროდ ქებათა-ქება, როგორც ჩანს, ქურდული კანონიდან გამომდინარე გამოყენებული „ნაცმოძრაობაშიც“ — ერთმანეთზე აუცილარ თქვან. ეს არის რაღაც კარტელი და არა — პოლიტიკური პარტია. კრიტიკა არის დემოკრატიის მაჩვენებელი, საკუთარი თავისა და გარემოცვის ქება კი სწორედ ქურდული მენტალიტეტია...

„ქართული სიტყვა“



პაპაშვილი,
კონფლიქტოლოგი:

აფხაზები და ოსები თავს ოკუპირებულად არ თვლიან, ამიტომ მათთვის შეთავაზებულ დოკუმენტში ეს ხაზგასმული არ უნდა ყოფილიყო. ამასთან, სტრატეგიაში მხოლოდ რუსეთის პასუხისმგებლობაზეა საუბარი, რომელიც თავისთავად ძალიან დიდია, მაგრამ აფხაზებისა და ოსებისთვის ქართველების პასუხისმგებლობის შესახებაც არის ცნობილი და ამის აღიარება აუცილებელია.

„პირველი“



ლაშა ამირაჯიძე,
„წარმომადგენლობითი სახალხო კრების“ წევრი:

რა თქმა უნდა, სააკაშვილი თავისი ბანდის წევრებს თან ვერ წაიყვანს. მას საკუთარი თავი, ოჯახის წევრები და ნათესავები ეყოლება გადასარჩენი და მისი ბანდის წევრები უეჭველად საქართველოში დარჩებიან... ესენი ისტორიაში შევლენ როგორც მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე უბოროტესი და შავბნელი ძალა! ის ოჯახები, რომლებიც გაამწარეს, ამით არაფერს არ აპატიებენ. დიას, ამით მივირგებოდა, განწყვეტილი და დაზოცილი ადამიანების შვილები და მკვლევარები არ აპატიებენ არაფერს ამ დამნაშავეს.

„ასავალ-დასავალი“

«არც ფანდური გვაქვს, არც — სტვირი», თან დედასა გვაქვს ნატირი...

თამარ ჩოგუაშვილი „მოხარულია“,
გაგვახარა ინტერპრესნიუსმა.
ვინ არის თამარ ჩოგუაშვილი?
თამარ ჩოგუაშვილი ყოფილა საქართველოს
ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის
ხელმძღვანელი.
რატომ უნდა გვიხაროდეს ჩვენ, სრულიად
საქართველოს, ის, რაც უხარია თამარ
ჩოგუაშვილს? უხარია კი ის, რომ მის მიერ
დასმულ შეკითხვას უპასუხეს ამერიკელებმა.

ხოლო რახან ამერიკელებმა უპასუხეს ჩოგუაშვილს, რაიც წყალობის თვალთ გადამოხედვასავითაა, ამ წყალობას, უკანა ფეხებზე შემდგარ აცუნდრუკებულ ფინიასავით კუდის ქიციანით უნდა შეხედეს საქართველოს საზოგადოებრიობა!

სხვა, გლობალური ვიდეოხიდეების შესაფერი და ამერიკის ღირსი და ფარდი.
ჰილარი კლინტონი სახელად ჰქონდათ, სატყუარად, თორემ ვიდეოკოფერენცია-ვიდეოხიდეის თავიც და ბოლოც, შეკითხვების მიმღებიც და რამდენიმე პასუხის გამცემიც „კონფერენციაზე მომუშავე უსაფრთხოების საკითხების ჯგუფი“ იყო.

აშშ სახელმწიფო მდივანი — არა.
როგორც ყოველთვის, ამერიკის დღევანდელი ადმინისტრაციის სახელით სააკაშვილის ხელისუფლებასთან „კონტაქტების“ უსახო ჩინოვნიკობა.

მაგრამ ამერიკული!
ჰკითხეს ამ „უსაფრთხოების ჯგუფს“ ჩვენმა ახალგაზრდა იურისტებმა, რჩევა ჰკითხეს ისეთი, რომელსაც აქვერონიკა ქობალია ვერ უპასუხებდა, იქ — ჰილარი კლინტონი აარიდებდა თავს, მიუხედავად იმისა, რომ მათი მოღვაწეობის სფეროებს ეხებოდა უშუალოდ — „მდგრად

ეკონომიკას“ და „დემოკრატიულ განვითარებას“.

შეკითხვა: როგორ შეიძლება, რომ ეკონომიკური განვითარების მიზეზით არ შეფერხდეს დემოკრატიული განვითარება და ეჭვქვეშ არ დადგეს კანონის უზენაესობა?

ესე იგი, ჩვენთან ეკონომიკის განვითარება ისეთი ყოვლისმომცველია, რომ ფერხდება დემოკრატიული განვითარება და ზარალდება კანონის უზენაესობა (!).

ან პირიქით: დემოკრატიის განვითარება და კანონის უზენაესობა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ ხელი ეშლება ეკონომიკის განვითარებას (!).

ან: არაფერიც არ გვაქვს. სამი პასუხიდან ერთის ამორჩევას მიჩვეულმა „უსაფრთხოების ჯგუფმა“ მესამე ვარიანტს მისცა უპირატესობა და დალაღჰყო:

„თუ არ გექნებათ კანონის უზენაესობის, დემოკრატიული მმართველობისა და ეკონომიკური განვითარების კომბინაცია, — თითქმის ჩაკეტილი გზის, — თქვენ ვერ მიაღწევთ მდგრად ეკონომიკას“.

ამ ბოლო დროს ხომ სულ სამი თითის კომბინაციის „მიმართებაში“ გველაპარაკებინ. ახლაც: ვერ გექნებათ და ბრანნი თქვენო!

ახალგაზრდა იურისტებს კი გაუხარდათ, თამარ ჩოგუაშვილს — უპირველეს ყოვლისა,

რადგან იგი ყოფილა ამ ღრმა-შინაარსიანი დილემანტიზმის ავტორი.

გახარებია იმიტომ, რომ, პირველი: ...ძალიან საინტერესო პასუხი მივიღეთ და პასუხი სწორედ საჭირო (!) კონტექსტში იყო გაცემული“, მეორე. გახარებია იმიტომ, რომ „კონფერენციის მსვლელობისას მსოფლიო მასშტაბით ინტერნეტის საშუალებით შესულ მხოლოდ 4 კითხვას გაეცა პასუხი, რომელთაგან ერთი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ეკუთვნოდა“.

დანარჩენი სამი — დანარჩენ მსოფლიოს!

ისევ სამი და ისევ ჩვენთან „მიმართებაში“
მერე რა, რომ „არც ფანდური გვაქვს, არც სტვირი და რა უნდა გავახშიროთ?“ ანუ არც კანონის უზენაესობა გვიკავია ხელში, დემოკრატიულ მმართველობას ახლოვ არ გაუვლია, ეკონომიკურ განვითარებაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, სამაგიეროდ „მივიღეთ საინტერესო პასუხი სწორედ საჭირო კონტექსტში“. რაც სავსებით საკმარისია ცარიელ კუჭზე თავმოყვარობის დასაკმაყოფილებლად: შეგვამჩნიეს, დაგვაფასეს, გვიპასუხეს! აქაც სამია!

„ვენი, ვიდი, ვიცი!“ — იტყოდა იულიუს კეისარი, — „მივედა, ვნახე, გავიმარჯვე!“
და, როგორც ძველ დროში პროფკავშირული კრება, ეს ვიდეოხიდეც დარჩა მზიარული!

არამაზ სასნებლიძე

მსურთ, გაგზავნათ თქვენც მოსაზრებები? დაგზავნეთ: 34-32-95, ან მოგზავნეთ: info@geworld.net

საქართველო

გასულ კვირას მსოფლიოს გულში და კიდევ რაღაც-რაღაცებში შეძრა (ეს კარგად ვიცით ქართველებმა, სულ შეძრულები დადვივართ) გაზეთ „ნიუ იორკ თაიმსის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულმა სტატიამ, სათაურით „როდესაც კონსერვატიული საქართველოში სექსუალური მორალს არად ავდებ“ (მაინც რა ორიგინალური სათაურები უყვართ ამ ამერიკელებს), სადაც ჟურნალისტი ელენ ბარი სათაურის ორიგინალურობაგამოყოლილი ტონით საუბრობს საქართველოში სექსის კულტურისა და ამ მხრივ გახსნილობის შესახებ.

„იმ დროიდან მოყოლებული, როდესაც შეყვარებული კაცები თავის საწოლში იტაცებდნენ, კავკასიური ოჯახების ძირითად მახასიათებლად ის იქცა, რასაც სოციალიზმი თავისი პრაქტიკით განაპირობებდა“ — ამბობს ბეგაშვილი — **ჩვენ ყველაფერზე ვლავრაკობდით, გარდა სექსისა“**. თუკი ეს შოუ თუნდაც ერთხელ გაქვს ნანახი, შეუძლებელია, არ დაეთანხმო — მის შოუში ახალი, ჯერარნახული და ჯერარგაგონილი, მით უმეტეს აღმაშფოთებელი და ტაბუს დამრღვევი არაფერი ყოფილა.

აბა, რას მივანეროთ ეს ბრალდება? ჟურნალისტიც თავაზიანად რომ ვთქვათ — ბებიათქვენისამ! ჯერ ერთი, საქართველოს გაიგივება ზოგადად კავკასიასთან და ქართული ოჯახის განხილვა ჩრდილოკავკასიურ მთის ოჯახებთან თავიდანვე შეცდომაა. მეორეც — გათხოვებისას ქალის ქალწულობის აუცილებლობა დედამთილების განსახილველი და ზენრის შესამოწმებელი XIX-XX საუკუნეებში გახდა, ისიც, ძირითადად, დედაქალაქში და ისიც, ძირითადად, ისლამურ და თავადაზნაურულ ოჯახებში. და მესამეც — ვინ ეკითხება ელენ ბარის, რომ ჩვენი სექსის ამბებს „ნიუ იორკ თაიმსის“ ფურცლებზე განიხილავს?

მოდით ვნახოთ, ვინ ეკითხება და ვისზე დაყრდნობით ამბობს ამას პატივცემული ბარი: თურმე, ნუ იტყვით და, შორენა ბეგაშვილის შოუს დახურვას გამოუწვევია ეს მთელი აჟიოტაჟი.

ახლა შორენას შოუზე არ დავიწყებ ლაპარაკს. მართალი გითხრათ, არ იყო მინდ დიდი ამბავი ასატყუნი. შოუ თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა და შესაბამისად,

სად, არც დიდი შემოსავლით სარგებლობდა. როგორც ჩანს, ამიტომაც დახურეს. მაგრამ ამის შესახებ სხვა მოსაზრება აქვს ელენ ბარის:

„ამის გამო კონსერვატიულად განწყობილმა აპტივისტებმა ტელეკომპანიის პიკატირება დაიწყეს. ოფიციალურ განცხადებაში მართლმადიდებელი მშობლებმა კავშირში დაგვიტყველეს, რომ „საზოგადოებრივი სიკეთის“ და განაცხადდა, რომ „ქალიშვილებმა მონღოლების შემოსევაში და მას შემდგომც ჩვენი ზნეობრივი კომპასი იყო“. რამდენიმე თვის შემდეგ შოუ ეთერიდან მოხსნეს, პოლიცია კომპანიაში მიზანდასრულებული არაფერი ყოფილა.“

რა ტაბუ? სად დაიბრუნა ტაბუ? რომელ გადაცემაში? თვითონ შორენას დავესესხები გამონათქვამს, რომელიც, სხვათა შორის, თავად ბარის მოჰყავს სტატიამ: **„სიმათლე გითხრათ, — ამბობს ბეგაშვილი — ჩვენ ყველაფერზე ვლავრაკობდით, გარდა სექსისა“**. თუკი ეს შოუ თუნდაც ერთხელ გაქვს ნანახი, შეუძლებელია, არ დაეთანხმო — მის შოუში ახალი, ჯერარნახული და ჯერარგაგონილი, მით უმეტეს აღმაშფოთებელი და ტაბუს დამრღვევი არაფერი ყოფილა.

აბა, რას მივანეროთ ეს ბრალდება? ჟურნალისტიც თავაზიანად რომ ვთქვათ — ბებიათქვენისამ!

ქინოინაზი

პირველ რიგში, გილოცავთ ყველაფერს, რაც გამოვეტოვეთ — ნელს მე და თქვენ არ შეეხვედრებოდით, ძვირფასო მკითხველო! მერე ჩემს თავს ვულოცავ „დიდ ავიაციამ“ დაბრუნებას და ბოლოს, მთელ საქართველოს ვულოცავ, რომ, ყველაფრის მიუხედავად, თებერვლის ბოლომდე ცოცხალმა მოაღწია! მოკლედ, დაბრუნებული მე და გაზეთი „საქართველო და მსოფლიო“ წარმოგიდგენთ რუბრიკას „მსოფლიო და საქართველო“ (უკუღმა, ასინეთა, უკუღმა!), სადაც ყოველ ნომერში იხილავთ მსოფლიო ამბების მიმოხილვას ჩემთან და კიდევ, ვინც საჭირო გახდება, იმასთან ერთად. ასე რომ, — დავინწყით:



ფანტაზიას? ნაკლებსავარაუდოა, რომ ისეთი გამოცემა, როგორც „ნიუ იორკ თაიმსი“, ელენ ბარის ფანტაზიებსა და წარმოსახვებს უაზროდ და გადაუმონებლად უშვებდეს...

ორი ვარიანტი — ან ელენ ბარი მართალია და შორენას გადაცემა მართლაც ჩვენი „ტრადიციულობის“ გამო დახურეს, ან ამ მოსაზრების ასე გაფლერება ვილაცას აწყობდა „ზემოთ“...

ჩვენს „ზემოთ“ კი არა, ჩვენს „ზემოთ“ რომ არიან, კიდევ იმათ „ზემოთ“...

„ეს ადამი ბასაოცარი მასშტაბით ნარჩუნდება. საქსულური გამოცდის მამიკაველი ახალგაზრდა კაცები უფროს ნათესავებს მკაცრად მიჰყავთ და სამადიციონო გაზარდა საქალწულე აპკის აღდგენის მომსახურებას არსებობს. მას ეფუძის ტურად „იუველირულ საგნებს“ უწოდებენ. სოციალური კვლევებისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ გასულ წელს ჩატარებული კვლევის თანახმად, მთელი საქართველოს მასშტაბით, გამოკითხული 3000 სტუდენტისა, 91,4%-მა მამაკაცმა განაცხადა, რომ ერთხელ მაინც ჰქონდა სექსი. ქალებს შორის ასეთი მხოლოდ 15,1% იყო.“ — აგრძელებს ელენ ბარი და სრულ უფლებას მიტოვებს, რომ თავაზიანად მიუთხოვს: მამ, მტყუანს?

ერთია, რას ამბობს გამოკითხული და მეორეა, რას აკეთებს სინამდვილეში! სოციოლოგიურ გამოკითხვას გულს და ფეხებს თუ არ გადაუშლის საშუალოსტატისტიკური ქართველი სტუდენტი ქალი, ეს არ ნიშნავს, რომ სინამდვილეში ნებისმიერ პორნოგრაფიკულ ვიდეო ვიდეოში არაა! სხვა თუ არა, მაშინაც 91,4%-ის დაკმაყოფილებას ქალების 15,1% ნამდვილად არ ეყოფოდა.

სტატისტიკის (რომელსაც თავისუფლად შეგვიძლია, ჩვენებურად „თითიდან (ან სხვა რამდენიმე) გამოწოვილი“ ვუწოდოთ) ბოლოს ირკვევა ჟურნალისტიც მოსაზრებით ამ ყველაფრის „მიზეზი“ და „დამაშავებელი“ ვლინდება:

„საბავშვოლი და მისი თანამოაზრანი, რომლებიც ხელისუფლებაში 2004 წელს მოვიდნენ, ცდილობენ არა მხოლოდ

საქართველოს გამოკლიტიკა, არამედ საზოგადოებას შეცვალონ. ზოგიერთ სფეროში მათი წარმატებაში გამაორტნებულნი. საქართველოში, რომელიც ოდესღაც საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი კორუმპირებული რესპუბლიკა იყო, ისე ეფუძის აიკრძალა წვრილმანი მკერდითაგეობა, რომ ზოგიერთი მუშაკი საახალწლოდ შოკოლადის ფილაზეც კი უარს აცხადებდა, არადა, ეს ტრადიციულად მიღებული იყო.

მაგრამ ეს გარდაქმნა სარისკო ხდება, როდესაც პირად ცხოვრებას ცვლის. საქართველო მართლმადიდებელი ქრისტიანობის ძველად და ეკლესია, სოციალური გამოკითხვების თანახმად, გვირად უსწრებს მთავრობას, როგორც ყველაზე აოკუპარული ინსტიტუტი. პატრიარქი ილია მორე ხანდახან პარიტიკებს ვისტიარნიზატორებს. ასე მოხდა ამ ბოლოდროინდელი დემონსტრაციებისას, როდესაც მან ქართველები გააფრთხილა, რომ უცხოეთში სანაწარმად წასულ ახალგაზრდებს მორალური ზინი ადგებათ.

გაღიზიანება განსაკუთრებით ვლინდება, როცა საკითხი სექსის ენება — სულ ბოლოს ეს გეიპარადის შესახებ გავრცელებული ჟორიკის გამო მოხდა, რასაც საპატრიარქო მარში უწოდებდა.

ვას! არც ჰომოფობი ვარ და არც რელიგიური ფანატიკოსი, მაგრამ ვთვლი და, ალბათ, ბევრიც დამეთანხმება — გეიპარადის წინააღმდეგ გამოსვლა სექსის საკითხში გაღიზიანებას არ ნიშნავს. საპატრიარქოს აქვს (და უნდა ჰქონდეს კიდევ) მკვეთრად გამოხატული პოზიცია არატრადიციული სექსის მიმართ, და ეს არაა მხოლოდ ჩვენი კათოლიკოს-პატრიარქის ან მხოლოდ ჩვენი რელიგიის დამოკიდებულება.

სხვა ხალხებისა და რელიგიების დამოკიდებულებებს კი, რატომღაც, დასავლური მედია ასე დეტალურად არ განიხილავს ხოლმე. სანიტიარსო, რატომ?

მიკვლევ

კლინიკაში ობამა გააბრუნა

აშშ-ს პრეზიდენტი ბარაკ ობამა სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, როცა აშშ-ის დიპლომატთა დელეგაციამ, მიუნხენის კონფერენციაზე ეგვიპტის კრიზისთან დაკავშირებით პრეზიდენტის საპირისპირო პოზიცია დაიკავა. ბარაკ ობამა აღმოვაჩინა, როცა უპატაკეს, რომ ეგვიპტეში ამერიკის ელჩმა ფრენკ ვიზერმა მიუნხენის კონფერენციაზე განაცხადა, რომ მუშარაფი პოსტზე უნდა დარჩენილიყო და რეფორმები განეხორციელებინა. იმავე კონფერენციაზე აშშ-ის დელეგაციის ხელმძღვანელმა ჰილარი კლინტონმა თქვა, რომ ეგვიპტეში დემოკრატიის გადარსება დიდ დროს წაიღებს, რითაც მუშარაფს მიანიშნა, არ ექარა თანამდებობის დატოვება.

ობამა კრიზისი ვერ აიხილა

პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენელთა ინფორმაციით, 2010 წლის აგვისტოში აშშ-ის პრეზიდენტმა არაბულ ქვეყნებზე საიდუმლო მოხსენების მომზადება ბრძანა. ექსპერტებმა დაასკვნეს, რომ, თუ უმოკლეს პერიოდში პოლიტიკური რეფორმები არ გატარდებოდა, ეგვიპტეში, ბაჰრეინსა და იემენში ხალხის საპროტესტო გამოსვლები იყო მოსალოდნელი. 18-გვერდიანი მოხსენება შეიცავდა რეკომენდაციებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა ემოქმედა ასეთ შემთხვევაში აშშ-ის იმის გათვალისწინებით, რომ ახლო აღმოსავლეთის ავტორიტარული რეჟიმების უმრავლესობა აშშ-ის მნიშვნელოვანი მოკავშირეა. მას შემდეგ, რაც ახლო აღმოსავლეთი მართლაც მოიცვა არეულობებმა, ვაშინგტონის რეაქციები დაბნეულად და არათანმიმდევრულად გამოიყურებოდა.

ბერლინის იუსტიციის დანაშაულები

საფრანგეთის პროკურატურამ დაადასტურა, რომ საფრანგეთის ლაჟვარდოვან სანაპიროზე, პორტ „ანტიპში“, ლონდონში მცხოვრები ბიზნესმენის — ბორის ბერეზოვსკის კუთვნილი ორი იახტა და სხვა ქონება დააპატიმრეს. ამ ქონების დაპატიმრება რუსეთის პროკურატურის თხოვნის საფუძველზე განხორციელდა. რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურატურის ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარინა გრიდნევამ განაცხადა, რომ სისხლის სამართლის გამოძიებასთან დაკავშირებით, რომელსაც გენერალური პროკურატურა ბორის ბერეზოვსკის წინააღმდეგ აწარმოებს, საფრანგეთის სამართალდამცავებმა ოლიგარქის კუთვნილი ორი იახტა დაილუქეს. ამ ქონების საერთო ღირებულება დაახლოებით 20 მილიონ დოლარს შეადგენს.

მოუხერხებელი პიარნაიჯი

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო სერიოზულად არ მიიჩნევს საქართველოს პრეზიდენტის — მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელმა კიდევ ერთხელ გამოხატა მზადყოფნა რუსეთთან დიალოგის დასაწყებად. ამის შესახებ რუსეთის ზემოხსენებული უწყების ოფიციალურმა წარმომადგენელმა ალექსანდრე ლუკაშევიჩმა მოსკოვში გამართულ ბრიფინგზე განაცხადა. მან აღნიშნა, რომ სააკაშვილის მრავალჯერად გამოსვლებს პერიოდულად ანტირუსული რიტორიკა და რუსეთის მისამართით არადიპლომატიური გამოხედვები ახლავს. მან გაიხსენა, სააკაშვილმა მოსკოვის დომოდელოვოს აეროპორტის ტერაქტი მოსკოვის მხრიდან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ალიარებას რომ დაუკავშირა.

დასაკვირვებელი კიდევ ბევრია!

გასულ კვირას <http://www.eurasianet.org> გამოქვეყნდა ფოტო კუცერას მცირე ზომის ნარკვევი (მე უფრო შენიშვნას დავარქმევდი), სადაც აშშ-ის ეროვნული დაზვერვის დირექტორის კონგრესისათვის წარსადგენ „საფრთხეების კვლევაზე“ საუბარი.

„ყოველწლიურად შეერთებული შტატების ეროვნული დაზვერვის დირექტორი კონგრესს „საფრთხეების კვლევაზე“ წარუდგენს, სადაც ხაზგასმულია ის, რაც, დაზვერვის თანამეგობრობის აზრით, მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ვაშინგტონს უნდა აღვნიშნავდეთ.“

ჩვეულებრივ, ეს ძალიან შაბლონური მასალაა და წლებადედი ანგარიშის ხუთ პარაგრაფიანი ნაწილი, რომელიც „კავკასიასა და ცენტრალურ აზიას“ ეძღვნება და არაფრით გამოირჩეული არ არის. ის პირველ ადგილზე აყენებს აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთში რუსეთის ყოფნას, დაძაბულობის ზრდას მთიანეთში და არასტაბილურობას ყირგიზეთსა და ტაჯიკეთში, რაც ისედაც ცხადია, წელიწადში 80 მილიარდი დოლარის (აშშ-ის დაზვერვის წლიური ბიუჯეტი). — ჯ.კ.) დახარჯვის გარეშე.“

თუმცა ამ ანგარიშის ერთი ეპიზოდი გამორჩეულად საინტერესოა. საქმე ის არის, რომ დოკუმენტში რეგიონის მხოლოდ ერთი ქვეყნის შიდა პოლიტიკური სიტუაცია განხილულია:

„საქართველოს ახალი კონსტიტუცია აძლიერებს პრემიერ-მინისტრის ადმინისტრაციას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ. პრეზიდენტ სააკაშვილს მის სამომავლო გეგმებზე არაფერი უთქვამს, თუმცა ახალი კონსტიტუცია მას პრემიერ-მინისტრის თანამდებობის დაკავების შესაძლებლობას აძლევს“.

არის ეს ცუდი რამ — ავტოკრატის გაჩენა საქართველოში? თუ კარგია აშშ-ის სანდო მოკავშირის დარჩენა ხელისუფლებაში? ანგარიშში ამის თაობაზე არაფერია ნათქვამი“.

ახლა მოდუნდით და წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ეს შენიშვნა რომელიმე ქართველ მკვლევარს რომ დაეხებოდა ქართულ გაზეთში?

იმაზე არაფერს ვამბობ, გაზეთის უკან რუსეთის აჩრდილს რომ დაინა-

ხავდნენ მავანნი და მავანნი. ექსპერტის უკანაც გამოიკვეთებოდა (უფრო ზუსტად გამოიკვეთდნენ) ორთავიანი არნივის კლანჭი და ყველაფერი, შესაძლოა, უფრო ცუდადაც დასრულებულიყო.

მაგრამ ეს კუცერას სტატიანა და, თანაც, სხვას კი არა, აშშ-ის დაზვერვის შუშის მონაცემებს ეყრდნობა.

სრულიად განსხვავებული გამოხმაურება მოჰყვებოდა, ეს სტატია რუსულ მედიაში რომ გამოჩენილიყო, და, იქნებ, ასეთი სახიფათოც არ ყოფილიყო, როგორც ახლაა.

დაკვირვება რომ მქსპარიმენტის მთავარი მიზანია, ამას ნებისმიერი ლაბორანტი გიტყვით, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ დაკვირვებისა და მქსპარიმენტის შედეგებით სავსეა პირდაპირი და ვირთხები ვერასოდეს ხშირობენ.

საქმეც ისაა, რომ არა მხოლოდ აშშ-ის დაზვერვის დირექტორი, არამედ ევროკავშირის ჯერ კიდევ წარმომადგენელი საქართველოში, პიტერ სემენოვიც იმავე პოზიციას ინარჩუნებს.

„სემენოვის აზრით, საქართველოში არის ექსტრადინალური პოლიტიკური ვითარება, როდესაც ერთ პოლიტიკურ ძალას აქვს უდიდესად ძლიერი პოზიციები ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებაში.“

„ამ პოლიტიკურ ძალას ეს აძლევს უდიდეს პასუხისმგებლობას, რათა შექმნას ისეთი პოლიტიკური გარემო, რომელშიც სხვა პოლიტიკურ ძალებსაც შეეძლებათ ურთიერთქმედება,“ — განაცხადა ევროკავშირის წარმომადგენელმა.

კითხვაზე — მმართველი გუნდი არ აძლევს სხვა პოლიტიკურ ძალებს უანგბადს? — სემენოვი:

ბი უპასუხა: „მე არ ვარ შემფასებელი, მე დამკვირვებელი ვარ“ (www.ipn.ge).

შამფასებელი არ ვარო, დამკვირვებელი ვარო! კაციც ეგა ყოფილა და ქუდიც გახას ჰხურავია! ისეთი ორგანიზაციის წარმომადგენელია, ნაწილი რომ აკვირდება და ნაწილი კი აფასებს. ჩვენსავით კი არაა — ერთი რომ აფასებს და დანარჩენები ტაშს უკრავენ, თანაც დაკვირვების გარეშე.

არ გაინტერესებთ, რა პასუხი გაცა საქართველოში აშშ-ის დაზვერვის შეფის ანგარიშს?

„პრაზიციენტის ადმინისტრაციის ამერიკის შეერთებული შტატების დაზვერვის ანგარიშთან დაკვირვებით კომენტარისაგან თავს იკავებს.“

როგორც დღეს გამართულ ტრადიციულ ბრიფინგზე პრაზიციენტის პრესსპიკერი მანანა მანუგაშვილი განაცხადა, პრაზიციენტმა ამ საკითხს არაერთხელ უპასუხა, მათ შორის, პარლამენტის წინაშე გამოსვლისას.

„ამ საკითხზე კონკრეტული კომენტარი არ გვქმნება, თუმცა მიხდა, შეგახსენოთ ის განცხადებები, რომელთაც პრაზიციენტი ამ მიმართულებით ხშირად აკეთებს, რომ მისთვის პრიორიტეტი პრაზიციენტი.“

ნტის ვადის ამ დღეს კი პრაზიციენტის უდიდესი მხარდამხმარებელია მანანა მანუგაშვილი. „დემოკრატიის შუქურა“ პრეზიდენტი და მისი ადმინისტრაცია აშშ-ის დაზვერვის შეფს თავს ხომ არ გაუყადრებს? არ უნდა გასცენ პასუხი, უნდა დაბოლოონ ამერიკელები. მერე რა, რომ მათი დახმარება უწყვეტად მოედინება საქართველოში და შეედინება ამავე ექსპერიმენტის მონაწილეთა ჯიბეებში — ვალდებულნი არიან, შეგვინახონ! მაგათი შარშანწინის წინ, აგვისტოში, ისეთი რამე დაგვმართეს, რომ ბოლო ცენტრიც ჩვენს ბიუჯეტში უნდა გადმორიცხონ!

ეს, რასაკვირველია, ხუმრობით, მაგრამ სახუმაროდ ნამდვილად არ გვაქვს საქმე, თუ გავითვალისწინებთ, რომ, რასაც აშშ, ევროკავშირი და მსოფლიო მედია ამბობს, საოცრად ემთხვევა ერთმანეთს და არცთუ უსაფუძვლოდ.

შეგახსენებთ, რომ აშშ, ევროკავშირი და მსოფლიო მედია სოსო ცინცაძე ან ანდრო ბარნოვი არ არის, მათ შეფასებას მართლა აქვს წონა.

ასეა თუ ისე, ჩვენი პრეზიდენტის ადმინისტრაცია დუმის ამჯობინებს, დუმის კი, „ოქროი რჩეულის“ გარდა, ხშირად თანხმობის ნიშანიცაა.



რომ ჰკითხო, ქურღებს ებრძვიან...

„ყველანი ჩვენი ბავშვობიდან მოვდივართ!“ — თქვა სენტ-ეპიფანიუსი და მართალიც იყო. ბავშვზე არც ერთი გაკვეთილი ისე არ მოქმედებს, როგორც მის თვალწინ გათამაშებული სცენა, მაგალითი, რომლის მიბაძვის სურვილიც უნდა და რომელთანაც, სავარაუდოდ, მომავალში თავს გააიგივებს.

საქართველოს შსს-ს ახალი კლიპი ხომ გახსოვთ? აი, ის, — ბავშვები პოლიციელებს, ექსპერტებს, სპეცრაზმელებს და ა. შ. რომ განასახიერებენ?

კლიპის შინაარსზე მისი გამოსვლის დღიდან დავობს და იბრძვის მთელი ქართული საზოგადოება. ჩემი ბიძაშვილის დაბადების დღეზე, სუფრიდან დანყებულ და „ფეისბუქზე“, ჩემი მეგობრის კედლით დასრულებული, ამ კლიპის განხილვა არსად და არასდროს წყდება. ზოგი აქებს, ზოგი აბაგებს, ზოგი აღმფოთებულია, ზოგი — შეშფოთებული.

ამჯერად კლიპის შინაარსზე არაფერს გეტყვით. ამ სიმღერის მელოდიაზე მინდა შევაჩერო თქვენი მალაღობის ყურადღება, ძვირფასო მკითხველო! იცოდით, მაგ სიმღერაში რომ მელოდია ჟღერს, სინამდვილეში ედიტ პიაფის ნაკლებად ცნობილი სიმღერაა?

არ იცოდით?

არც მე ვიცოდი...

მოდით ამას სხვანაირად შევხედოთ — შინაგან საქმეთა სამინისტრომ რამდენი კლიპი გადაიღო სულ? მე ორი მახსოვს — პირველი და ბოლო. პირველ კლიპს რომ მელოდია ფილმ „პირველი მერცხალის“ საუნდტრეკი ჰქონდა გამოყენებული, იოლად მივხვდით ყველა და ამიტომაც ხმა აღარ ამოგვიღია, ჩვენი იყო მაინც და თანაც თავიდანვე თქვეს, რაც და როგორც გააკეთეს.

ბოლო კლიპზე უკვე ქართული ხასიათის ძირითადმა მტრებმა — უპასუხისმგებლობამ იჩინა თავი და ამან, თავის მხრივ, მთელ რიგ უცნაურობებს დაუდო სათავე; კერძოდ:

ა) მეორე კლიპისთვის მუხად გამოიყენეს ედიტ პიაფის ნაკლებად ცნობილი სიმღერის მელოდია;

ბ) ამ მელოდიას, ჩვეულებრივად, უნიჭო ტექსტი დაადავს;

გ) მიღებული მდარე ხარის-

ხის პროდუქტი პირდაპირ დაატრიალეს ტელეეთერში, თანაც ისე, რომ არც მითითებიათ, ვისი იყო მელოდია და ტექსტი;

დ) ამიტომაც იყო, რომ ასე უკმეხად საუბრობდნენ ქართველები ამ კლიპზე. რომ სცოდნოდით, რომ ედიტ პიაფის სიმღერას ლანძღავდნენ, ხომ შეიკავებდნენ თავს, რაც უნდა იყოს, სარკოზის თანამემამულე იყო მაინც, უხერხულია...

ისე, კაცმა რომ თქვას, მე ვინ მეკითხება, მაგრამ მაინც, ცნობისმოყვარეობა წამძლევს ხოლმე და მაინტერესებს: რა დაჯდა ამ კლიპის შექმნა და რამდენი გადაუხადა შსს-მ კლიპის „მუსიკის ავტორს“?

სამწუხაროდ, ეს რიტორიკული შეკითხვაა. ასე ხდება ხოლმე საერთოდ — ჯერ სახელმწიფო ჰიმნის ტექსტი შემოგვატენეს გაკერული პატარაძლივით, მერე „მიშა მაგარია“ — ში გაიფლრა „პანჯაბის“ ცნობილმა მელოდიაში, ახლა ეს...

რომ არ შეგვეძლოს, კიდევ აიტანდა კაცი! კომპიუტერული თამაში რომ გამოუშვებს და არ გამოუვიდათ, მაგაზე ხომ არაფერს ვამბობ, ეგ მაინც ახალია ქართველებისთვის. ეს მუსიკის ნერა ხომ შეგვიძლია და რატომ ვიპარავთ?! და მითუმეტეს, რატომ ვუხდით ფულს ბიუჯეტიდან სიმღერის მომპარავებს?!
მაგალითზე გეუბნებოდით: მაგ კლიპში ხომ ბავშვები მონაწილეობენ? ე. ი. ლოგიკურად გამოდის, რომ კლიპი გათვლილია უმცროსი ასაკის მკვლევრებს.

ახლა დაფიქრდით და მიპასუხეთ: მოპარულ მუსიკაზე გადაღებულ კლიპს რომ ბავშვი უყურებს, იმას პოლიციაში მუშაობა მოუწდება? თუ პირიქით?

არადა, რომ ჰკითხო, ქურღებს ებრძვიან...



მიმოიხილა ლეკო ლეკიაშვილი

მისილი ბარაკს ატყუებს



გასულ კვირაში მსოფლიო პრესამ მიხეილ სააკაშვილისთვის მოიცალა. ბენეფისია! მისდა სამწუხაროდ, — მინუსი ნიშნით.

სათაურით „მიშა ესაუბრა ვერშოუს. როგორ ცდილობდა მიხეილ სააკაშვილი აშშ მანიპულირებას“ ჟურნალმა „რუსკი რეპორტიორმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც Wikileaks-ის მასალებს ეფუძნება.

ვერშოუს, აშშ თავდაცვის მინისტრის მოადგილე, ნათქვამია პუბლიკაციაში, სააკაშვილმა დაარწმუნა, რომ „კონფლიქტების სამხედრო გზით გადაწყვეტა შეუძლებელია და რომ დემოკრატიული პროცესების განვითარებას, ეკონომიკური რეფორმების გაგრძელებას, ხანგრძლივ პერსპექტივაში, შეუძლია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებას შეუწყოს ხელი“.

არც ეს ციტატა, არც მომდევნო ამონარიდი, რომელსაც შემოგთავაზებთ, არ არის რომელიმე, თუნდაც ჭკვიანი, ანალიტიკოსის დაკვირვების შედეგი. ამ სტრიქონების ავტორია აშშ ყოფილი ელჩი საქართველოში ჯონ ტეფტი.

„ვერშოუს არწმუნებდა საქართველოს, — განაგრძობდა ჯონ ტეფტი, — არ შეეჩერებინა რეფორმები, რომლებიც დროთა განმავლობაში უზრუნველყოფდა ნატოში გაწევრებას. ჩვენი საერთო ინტერესია, წინ სიფრთხილად ვიაროთ“, — ასეა Wikileaks-ის მიერ გამოქვეყნებულ დოკუმენტში.

კითხვობაზე მგლის თავზე სახარებას! ჩამოუთვლიდნენ საკითხებს, რომლებიც აუცილებლად გასათვალისწინებელი იყო ქვეყნის ხელმძღვანელების პრაქტიკულ საქმიანობაში. ის მაინც ტყეში იყურებოდა.

მადლობა მოახსენა მიხეილმა აშშ-ის მაღალჩინოსანს; აღნიშნა, რომ ამერიკის ოფიციალური პირების ვიზიტებს და წვრთნებითა და ხომალდების ვიზიტებით მხარდაჭერას შედეგად ჩვენი ბიზნესსაზოგადოების სიმშვიდე მოსდევს.

რომელი ბიზნესსაზოგადოება, რომელიც ისეა ყელნაჭერი, რომ სულერთია, მშვიდ გარემოში დალევს სულს თუ რუსეთის აგრესიის შიშის მოლოდინში? ეს პატივცემულ მიხეილს არ დაუზუსტებია. სამაგიეროდ, დედა დაიფიცა, რომ „საქართველო რუსეთს თავდასხმის საბაზს

არ მისცემს“. ისეთი დაბეჯითებით, ისეთი დარწმუნებით, როგორც ნინასაარჩენო კამპანიის დროს იცის ხოლმე.

ელემენტარული პოპულიზმი! ეტყობა, ვერშოუს, ჩვენი არ იყო, ეჭვი შეეპარა მიშას კაცურ სიტყვაში და გაუმეორა, რომ „საქართველომ რეალისტურად უნდა მისდოს და გააღიზიანდეს, რომ იგი რუსეთს ვერ დაამარცხებს“ და სთხოვა, „კიდევ ერთხელ დაედასტურებინა ქართული მხარის პოზიცია კონფლიქტების სამხედრო გზით გადაწყვეტის შეუძლებლობაზე“.

საკაშვილმა დაადასტურა — ასეც მოვიტყვიო.

სინამდვილეში კი ყველაფერი გააკეთა პირიქით — რუსებს ხან ნიანგები უწოდა, ხან დომოდედოვოს ტერაქტი ლამის სამართლიან შურისძიებად მონათლა, ახლა კიდევ ოფიციალურად აპირებს უსაფრთხოების ახალ კონცეფციაში რუსეთს საქართველოში №1 მტრად ჩაწეროს. მოკლედ — სხვამ რაც გინდა თქვას, ეს თავისას ჩალიჩობს. ჩვენ ხომ გვატყუებს და გვატყუებს, მივეჩვიეთ, ამერიკელების ვაცურებასაც არ ერიდება.

ტყუილების ქვეყანა თაღლითების ელდორადოა. რამდენიმე დღის წინათ, 17 თებერვალს, აშშ-ის საელჩომ საქართველოში ჩვენი მოქალაქეები გააფრთხილა, არ წამოეგონ ამერიკის სამხედრო დეპარტამენტის სახელით გადმოგდებულ ანკესს, რაზეც „ინტერპრესნიუსს“ ამერიკის საკონსულო განყოფილების ხელმძღვანელმა პატრიკ უინგეთმა უამბო:

„საქართველოს მოქალაქეები, ასევე, მთელ მსოფლიოში ადამიანები, იღებენ შეტყობინებას ელექტრონულ ფოსტის მეშვეობით, თითქოს მათ მოიგეს „მწვანე ბარათი“ და ამ ბარათის ასაღებად მითითებულ ანგარიშზე უნდა გადარიცხონ 880 დოლარი. გვიანდა, გავაფრთხილოთ ყველა, რომ ეს არის მხოლოდ თაღლითობა და არავითარ შემთხვევაში არ უნდა უპასუხოთ ამ წერილს და არ გადარიცხოთ მითითებული თანხა“, — განაცხადა პატრიკ უინგეთმა. ნათელი შუქი „მწვანე ბარათებს“ აუთო აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტში.

რას გპიქაღის გლობალიზაცია?

ეს წერილი აშშ-ის Prison Planet-ის პუბლიკაციის მიმოხილვაა, რომელიც ობიექტურად ცდილობს, შეაფასოს ამ დღეებში განვითარებული გლობალური პროცესები.

„გლობალური პოლიტიკური გამოვლილება“, რისიც ასე ეწინააღმდეგებენ ბუჟინსკის, სახეზეა და ძალას იკრებს. აჯანყება ეგვიპტეში, იემენსა და სხვა ქვეყნებში ჭეშმარიტად კოლოსალური მონოდებაა თავისუფლებისკენ, რაც ემუქრება ერთიანი მსოფლიო მთავრობის შექმნის პროგრამას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ წარმატებული რევოლუციონერები შეძლებენ თავის დაცვას და პარანორმალურ გლობალურ ელიტას უფლებას არ მისცემენ შთანთქმას ისინი.

საერთაშორისო ურთიერთობათა საბჭოს სხდომაზე შარშან წარმოთქმულ სიტყვაში ბუჟინსკიმ განაცხადა, რომ „გლობალური პოლიტიკური გადავიდება“, რომელიც, უმთავრესად, განვითარებადი ქვეყნების პოლიტიკურ სტრატეგიაზე ახალგაზრდა ადამიანების გამოსვლით გამოვლინდება, საფრთხეს შეუქმნის არსებულ საერთაშორისო წესრიგს.

პირველად მთელი თავისი ისტორიის მანძილზე მთელი კაცობრიობა გააქტიურებულია, პოლიტიკურად შეგნებულია და პოლიტიკურადვე დინამიკურია, გლობალური პოლიტიკური აქტივობა ბიძგს აძლევს ადამიანური ენერჯის მკვეთრად გაძლიერებას პირადი ღირსების, კულტურულ ღირებულებათა და ეკონომიკურ შესაძლებლობათა დასაცავად მთელ მსოფლიოში, რომელიც ტრავმირებული იყო და არის უცხოური კოლონიური ან იმპერიული ბატონობის ათწლეულებით. ადამიანის ღირსებაზე ფიქრით გამოვლენილი მსოფლიო სივრცე არის ცენტრალური პრობლემა, რომელიც ნარმოვსა გლობალურად გამოვლინდება. ეს გამოვლილება სოციალურად ყოვლისმომცველია და პოლიტიკური თვალსაზრისით — რადიკალიზებული. რადიოს, ტელევიზიისა და ამ ბოლო დროს ინტერნეტის ხელმისაწვდომობა ქმნის საერთო აქქმისა და შეფასების, ასევე, საერთო შურისძიების თანამდებობას, რაც, შეიძლება, გაღვივებული და წარმატებული იქნას დემოკრატიული პოლიტიკური ან რელიგიური ვნებათაღელვებით. ეს ენერჯია გადალახავს ეროვნულ საზღვრებს და დაუპირისპირდება როგორც არსებულ სახელმწიფოებს, ასევე, გლობალურ იერარქიასაც, რომლის მწვერვალზე ამჟერავდა ამერიკა.


მესამე მსოფლიოს ახალგაზრდობა განსაკუთრებულადაა აღელვებული და აღმშფოთებული. დემოგრაფიული რევოლუცია, რომელსაც ისინი განასახიერებენ, ამასთან ერთად არის დაყოვნებული მოქმედების პოლიტიკური ნაღმი. რეპროდუქციული მახვილს უთუოდ აღმართავს სტუდენტთა მრავალრიცხოვანი არმია, რომელიც თავისი ინტელექტუალური საბანანათლებლო დაწესებულებაში არსებულ მრავალრიცხოვან რაოდენობა მთელ მსოფლიოში 80-დან 130 მილიონამდე მერყეობს.

სოციალურად საშუალო წვრილბურჟუაზიული წარმოშობის მილიონობით სტუდენტი, სოციალური ჩაგვრის წინააღმდეგ პროტესტის გრძნობით გამსჭვალული რევოლუციონერი-რეზერვისტები, რომლებიც სანახევროდ არიან განვლული მრავალრიცხოვან კონგრეგაციებში, ერთმანეთს უკავნივო დეპარტამენტში.

შირდებიან ინტერნეტით და მზად არიან, უფრო დიდი მასშტაბით გაიმეორონ ის, რაც რამდენიმე წლის წინათ მოხდა მეხიკოში ან პეკინის ტიანანმინის მოედანზე. მათი ფიზიკური ენერჯია და ემოციური ფლუსტრაცია მზადაა, მთელი ძალით გამოვლინდეს, რაიმე მიზეზით, რწმენით ან სიძულვილით ბიძგმცემული.

მსოფლიოს მთავარი ქვეყნები — ახალგაზრდები თუ ძველები — ასევე, დგანან ახალი რეალობის წინაშე იმ პირობებში, როცა მსოფლიოს გამოვლიებული მასების მაკონტროლებელი მათი შეიარაღებული ძალები ისტორიულად ყველაზე დაბალ დონეზე იმყოფება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, უწინდელ დროში უფრო ადვილი იყო ერთი მილიონი ადამიანის მართვა, ვიდრე ფიზიკურად მათი მოსპობა. დღეს გაცილებით იოლია ერთი მილიონი ადამიანის მოკვლა, ვიდრე ერთი მილიონი ადამიანის მართვა.

საზგასანმელია, რომ ბუჟინსკი არ მიესალმება „გლობალურ პოლიტიკურ გამოვლილებას“. მას, როგორც „არსებულ გლობალურ იერარქიას“ ერთ-ერთ მთავარ არქიტექტორს, შეეძინა საშუალება უზუალოდ



უახლესი ისტორია მსაფუო, რომ გამოვლილი «ფიქრით ჩაპოლუნიები» ერთადერთი მიზანს ისახავდა — დახმარება საერთაშორისო საპლატო ფონდს, მსოფლიო ბანკს, გლობალურ ელიტას, დაეხმოს თავიანთი სკლისუფალი და სკლით ეგდო ქვეყანა უკანა კარიდან, დაემყარებინა იქ მარიონეტული რეჟიმი.

მეშაქება ისევე, როგორც ემშაქება გლობალური ელიტის შესაძლებლობას, მართოს საერთაშორისო საქმეები.

ბუჟინსკი ცრემლსა ღვრის იმის გამო, რომ ინტერნეტმა გლობალურ ელიტას თითქმის სრულად გამოაცალა პოლიტიკური ვითარების კონტროლის შესაძლებლობა. ეს დაადასტურა ეგვიპტის რევოლუციამ.

უახლესმა ისტორიამ ცხადყო, რომ გამოვლილი „ფიქრით რევოლუციები“ ერთადერთ მიზანს ისახავდა — დახმარებოდა საერთაშორისო სავალუტო ფონდს, მსოფლიო ბანკს, გლობალურ ელიტას, დაემხო თავიანთი ხელისუფალი და ხელთ ეგდო ქვეყანა უკანა კარიდან, დაემყარებინა იქ მარიონეტული რეჟიმი.

მაგრამ გლობალური რევოლუციის „დომინო-ეფექტი“, რომელიც უკანასკნელი კვირების განმავლობაში არნახულად დაჩქარდა, როგორც ჩანს, წარმოიქმნა ფართო მასების

ორგანული, ჭეშმარიტი სურვილიდან — მოიპოვონ რეალური თავისუფლება და ბოლო მოუღონ დიქტატორულ რეჟიმებს, რომლებსაც მხარს უჭერს აშშ და საბანკო ელიტა.

გლობალური ამბოხი, რომელიც მოედო ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ აფრიკას, შარშან ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში (იტალია, საფრანგეთი და გაერთიანებული სამეფო) მომხდარ არეულობებშიც აისახა, სავარაუდოა, არის საპასუხო რეაქცია დიქტატურის, პოლიციის დაუნდობლობისა და რეპრესიების წინააღმდეგ. რიგი ანალიტიკოსებისა დარწმუნებულია, რომ საქმე სწორედ ასეთ ვითარებასთან გვაქვს.

ეგვიპტის, იემენისა და ტუნისის რეჟიმები ათწლეულების განმავლობაში ამერიკის სამხედრო-სამხრეთული კომპლექსის მხარდაჭერით სარგებლობდა. სამივე ახალი მსოფლიო წესრიგის მსახური სანაღმურ იყო. გლობალურ ელიტას არ სჭირდებოდა ამ „ფიქრით რეპროდუქციის“ ორგანიზება.

ამერიკის თავისი სააკაშვილი ჰყავს, რომელიც არეულობის დიდოსტატია. ეს გახლავთ ვიცეპრეზიდენტი ჯო ბაიდენი, რომელმაც პოსტი მუხარატის 30-წლიან დიქტატურას მხარი დაუჭირა სახელმწიფო რადიომანუყებლობისთვის მიცემულ ინტერვიუში, როცა მიგვანიშნა, რომ საპ-

როტესტო გამოსვლების მონაწილეთა მოთხოვნები უკანონო იყო.

ამის კვალზე და ამ ეგვიპტის გასანეიტრალებლად ობამას რამდენიმეჯერ მოუწია საქვეყნოდ განცხადება, რომ ხალხის მოთხოვნა უნდა დაეკმაყოფილდეს, მუხარაკი უნდა წავიდეს.

გლობალური რევოლუცია სახეზეა. მოსპობს თუ არა იგი ამჟამინდელ გლობალურ იერარქიას, ჯერ კიდევ გაურკვეველია. ეს, გვარწმუნებენ ანალიტიკოსები, დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ ვინ უხელმძღვანელებს ახალ მთავრობებს, რომლებიც ჩაენაცვლებიან განდევნილ მმართველებს — ადამიანები, რომლებმაც რეფორმაციის პროცესი დაინწყეს, თუ მსოფლიო ბანკი, საერთაშორისო სავალუტო ფონდი, არსამთავრობო ორგანიზაციები და გლობალური ელიტის დანარჩენი ნაწილი, რომლებიც გამწარებით ცდილობენ, გადაარჩინონ მსოფლიო მთავრობის შექმნის თავიანთი პროგრამა.

საქართველო

გურთ, გაგზივართ თქვენი მოსაზრებები? დაგზივართ: 34-32-95, ან მოგზივართ: info@geworld.net

„მიშა! მიშა!“ ძახილითა და „მიშა მაგარიას“ სიმღერით საქართველოში ისე გავერთეთ, რომ მიშას ცოლორის ქვეყანამ მაგრად შემოგვილანუნა: გერმანული Die Welt-ის ანალიტიკოსები: იოჰანსენი, სტანდი და ჰინრიქსი ამ გაზეთში გამოქვეყნებულ სტატიაში Wikileaks-ის მასალებზე დაყრდნობით წერენ: „ჰოლანდიელი საპარტიველო „მოუხედავად“ მიიჩნევენ და მიხილს სააკაშვილს ახასიათებენ, როგორც „ამოციურ, კორუმპირებულ სახელმწიფო მეთაურს, რომლის ნდობაც არ შეიძლება“.



The screenshot shows the German newspaper Die Welt's website. The main headline reads: "Nato spielt eine schrecklich nette Familie" (NATO plays a very nice family). Below the headline is a photo of Barack Obama and Angela Merkel. The article discusses NATO's actions and mentions Wikileaks. There are also sections for "ARTIKEL TEILEN" (Share articles) and "WEITERFÜHRENDE LINKS" (Further links).

კორუმპირებული სიძე თუ GEFAHRLICH SAAKASHVILI!

ახლა გამოფიზილდენენ! ქალს რომ ატანდით, თქვე მაცხოვრებლებო, ამ „ემოციურს“, მაშინ რას ფიქრობდით? აღარ მოგწონთ და ემიჯნებით? თქვენი ნახმარი, „სექუნდ პენდი“ ყვითელი ავტობუსები თბილისში ახლის ფასად რომ ჩამოათრია და ჯართისგან გაგითავისუფლათ „დაბა-ბა“ ქვეყანა, მაშინ კარგი ბიჭი იყო? ყვეთელ-ნითელი ტიპების ბიზნესი საქართველოს ყვეაღლის გამონაყარით რომ მოსდო და თქვენი ვერ ნითელ ვარდს, შირაზის ზურდი რომ გადადევნიან ჩვენი ტერიტორიიდან, მაშინ ხომ მოგწონდათ? ახლა კარგად იყავით!

მიხილ სააკაშვილი ევროპისთვის ერთგვარი საცდელი პოლიგონი თუ არა, ლაკ-მუსის ქალაქი მაინც არის. ძველი კონტინენტისთვის დამახასიათებელი, მაგრამ დაფარული რისკფაქტორები, რომლებიც განათლებულმა დასავლეთმა, აშშ-ის მეთაურობით, ამ კაცში ჩანერგა, მოკლე დროში სრული მოცულობით და მრავალმხრივ ისე გამოვლენდა, რომ მიღებულმა შედეგმა სერიოზულად ჩააფიქრა ჩვეულებრივ ზანტი ბიურგერებიც კი, რომლებსაც, თავიანთი კეთილდღეობის გარდა, პრინციპულად სხვა არაფერი სერიოზულად არ აინტერესებდა.

მაგრამ, თუ მათი სტაბილური ყოფის კალაპოტიდან ამოგდებდა შეცდებით, მოუხედავად იტყვიან — გიჟია ეს მამაძალი! DIE WELT ბიომომენტები: „გერმანელი სააკაშვილს „გიჟს და სახიფათოს“ უწოდებენ“.

საკაშვილისა და მისი ხელისუფლების გაუზარებელ ქმედებებზე გამო გერმანია აშშ-ს დაუპირისპირდა. დაპირისპირების ქვაკუთხედი ნატოში საქართველოს

მიღება-არმიღების საკითხია. ანალიტიკოსები ასე განსჯიან: „**რუსეთ-საქართველოს ომში გააძვირდა ის პრობლემა, რომელიც ნატოს აღმოსავლეთი პარტნიორებისთვის საკითხი აღნიშნავდა. ორი კვირით ადრე ფედერალური კანცლერი გამოდის ნინადადებით, რომ საქართველოს მიღება ალიანსში იმ პირობით გადაიდოს, თუ „რამე საშინელია არ მოხდება“.** მერკელი ვარაუდობდა, რომ ამ ფორმით რუსეთზე ზეწოლას შეინარჩუნებდა. თავის მხრივ, შეროივებულმა შტატებმა განაცხადა, რომ ეს ძალიან სახიფათო სტრატეგიაა და მას შეიძლება ომი მოჰყვეს“.

ომი რომ მოჰყვას, ყველამ იცის, მაგრამ არა მერკელის „სახიფათო სტრატეგიის“ მიზნით, არამედ იმიტომ, რომ ჰალსტუხის ბოლომდე შექმნა ვერ მოხერხდა.

გერმანია ალიანსის წევრებს აფრთხილებდა, რომ, თუ საქართველოს ნატოში მიიღებენ, „ბლოკში ახალი კვიპროსის იმპორტირება“ გადგეგვია: ბერლინის ასეთი ნინადადებების განვითარება აღმოსავლეთისკენ ნატოს გაფართოების ტორპედოება ხომ არ სურს?

აშშ-ის გერმანელი ოპონენტები მიიჩნევენ, რომ ბუქარესტში მიღებულმა გადაწყვეტილებამ რუსული აგრესიის პროვოცირება მოახდინა. ამერიკელებს მხარს უჭერდნენ ნატოს ახალი წევრები და კანადა, ანუ სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს არ მიანიჭეს მაკი — ნატოში განწევრებისთვის სამოქმედო გეგმა — რუსეთმა ეს უარი აიძვეა „როგორც მწვანე შუქი საქართველოს ნინადადებებზე საიმოქმედოდ“.

სადაც მიშა გაერია, იქ საქმე იჭრია. ნატოზე ლაპარაკი, რომლის სხდომებზე ბევრჯერ ისეთი დავა და დაპირისპირება, როგორც კომუნალური სამზარეულოში თავშეყრილ დიასახლისებს შორის.

პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ქართული კრიზისი ერთ-ერთი იმ მრავალ თემთანაა, რომელთა გამო ცხარე კამათი იმართებოდა 2008 წლიდან 2010 წლამდე ჩატარებულ ნატოს საბჭოს სხდომებზე. ამას ადასტურებს 250 საიდუმლო ოქმი Wikileaks-ის მიერ საჯაროდ გამოტანილი. კამათი — კამათისთვის. ერთ-ერთ მაგალითად დასახელებულია 2008 წლის 12 აგვისტოს გამართული კრიზისული სხდომა, რომლის ერთ-ერთი დისკუსიები სუთ-დღის შემდეგ დაშთავრდა იმით, რომ... ალიანსმა გამოაქვეყნა ერთობლივი განცხადება პრესისთვის.

გადარუნებული ურმის სიტუაციიდანაც ვერაფერი ჭკვიანური ვერ გამოიხსნენ. ანალიტიკოსები ითვანსენი, სტანდი და ჰინრიქსი ნატო, რომ „როცა კავკასიაში ყოფიანების აფეთქებისა და ტანკების გრუსუნის სხა ისომოდა, მსოფლიოს ყველაზე ძლიერ სახელმწიფოებს სპირტი დიდი გრძობა იყო გაჩაღებული. ნატოს ნაწილი ძველგვარი ერთმანეთს დაუპირისპირდნენ (მართალია, მსოფლიო სიტუაციის და) თიხაზე: როგორ უნდა აეცილებინათ ეს ომი თავიდან“.

ჰოდა, მიიღეს განცხადება პრესისთვის, რომელიც უკან მიდევნებულ ლამპარს უფრო ჰგავდა, ვიდრე ანალიტიკურ დოკუმენტს, ისეთი დასკვნებით, რომელთა გათვალისწინება მომავალში მაინც გამოდგებოდა.

ნატოს 250 საიდუმლო ოქმის ანალიზისას პუბლიკაციის ავტორები აღნიშნავენ, რომ „ეს დოკუმენტები ცხადყოფს, თუ როგორ ებრძვის თავდაცვითი ალიანსის მის რიგებში არსებულ განვითარებას, რომელიც სინამდვილეში იმაზე ბევრად უფრო ღრმად, ვიდრე ამას ნატოს ქვეყნების პოლიტიკოსები აღიარებენ“ (Die Welt).

ამათ კიდევ „არაპროგნოზირებადი, კორუმპირებული, გიჟი და სახიფათო“ სააკაშვილი აკლდათ?!

Die Welt ასკენის, „ხუთთა ბანდისთვის (ალიანსის წევრ ზემოთ ნახსენებ ხუთ ქვეყანას გულისხმობს) რუსული საკითხის არსი ისაა, რომ ისინი დიდ მეზობელთან ურთიერთობის გაცივებას უფრთხიან“.

ჭაობიან ადგილას წელიწადის ამ დროს ყოფნამ ჯარისკაცთა დიდი სიკვდილიანობა გამოიწვია. ასე რომ, რუსეთის არმიამ ექვსასი კაცი დაკარგა, რომელთა შორის მონაწილეობის მიერ მოკლულნი მხოლოდ ოცდაერთი იყო. მაგრამ ციხე-ციხელება მთელ ჯარს ჰქონდა შეყრილი და ქუთაისში დაბრუნების შემდეგ, სექტემბრის განმავლობაში, 2600 კაციდან 1200 გარდაიცვალა.

ფოთის დაცვამ აჩვენა თურქებს, თუ რა ახალი იყო მათი ბათილბეობა; რუსებს კი, პირველად, შეაჩვენა, თუ რა უნდა იყოს მათი უფრო მეტი დახმარება. მათი უფრო მეტი დახმარება, რომელიც მათ უნდა ეთხოვინათ, მათ უნდა ეთხოვინათ, რომელიც მათ უნდა ეთხოვინათ, რომელიც მათ უნდა ეთხოვინათ.

არ იყვნენ მხოლოდ გურიაში.

1804 წელს რუსეთის იმპერიაში შესვლით გურიაში სრული სიმშვიდე მოიპოვა. პატარ-პატარა ღრუბლები, რომლებიც ერმოლოვის დროს ხანდახან რომ გაჩნდებოდა, არაფერს ნიშნავდა. ბედნიერ ცხოვრებას აქ წერტილი 1826 წელს მამია გურიელის გარდაცვალების შემდეგ დაესვა, როცა სპარსული კამპანია იყო გაჩაღებული. მამია გურიელის მემკვიდრე დავითი მცირეწლოვანი იყო. ამიტომ გურიის განაგებდა მამიას ქვრივი, ქალბატონი სოფიო დროებით საბჭოსთან ერთად, რომლის შემადგენლობაშიც იქაური თავადები შედიოდნენ.

ძალაუფლების მოყვარულმა ქალბატონმა, უკმაყოფილომ საბჭოს გადანყვეტილებით, დაიწყო თურქეთთან დაახლოების გზების ძიება. იმ დროს ქობულეთში გურიიდან გაქცეული რამდენიმე თავადი ცხოვრობდა (ჯერ კიდევ ერმოლოვის დროიდან); ისინი პირველი ავრცელებდნენ ხალხში აზრს იმის თაობაზე, რომ რუსები სანდონი არ იყვნენ და რომ ისინი გურულების მემკვიდრეს მხარეიდან დედასთან ერთად გააძევედნენ და ამგვარად მოსაზრდნენ სამთავროს ავტონომიას, როგორც ეს იმერეთის სამეფოში უკვე გააკეთეს. ამ ხმებს ხალხის გამომხაურება მოჰყვა და გურულთა აზრი ირად გაიყო — ერთი რუსეთს ემხრობოდნენ, მეორენი (უფრო მცირე ნაწილი) გავლენიანი თავადის — მარტოხი, შეიქმნა, მშვიდარა შეპარპოლათ მათი ერთგულებით, ხედავდნენ რა თავიანთი დროშის ქვეშ იმარაგებდნენ. ცხადი იყო, რომ ბურიაში აჯანყება მსაღმდროს და სათავადო ციხეებს ამაგზავდნენ. სიტუაცია იმდენად გამწვავდა,

რომ მთავარსარდალმა გურიის მმართველ ქალბატონთან პირადად მომგზავნა თავადი პავლე გურიის თავადის — პავლე გურიის წერილისა და წულუკიძის თანხლებით.

მათ არა თუ არ გამოაჩინეს მცირეწლოვანი მემკვიდრე, არამედ ქალბატონმაც მალე მიატოვა სტუმრები. შემდგომში ქაიხოსრო წერეთელი იგონებდა, რომ მათ გურიაში ვიზიტისას რამდენიმე საშინელი ღამე გაათიეს, რადგან მათ სიცოცხლეს სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა.

ქალბატონი სოფიო თვითონ დადიოდა ცნობილი გურულების სახლებში, რათა გაეზარდა თავისი თანამოაზრეების რაოდენობა. მისი საყვარელი თავადი მატყუტაძე ტრაპეზუნდში, ბათუმსა და ქობულეთში თურქებთან მოახლოების გზების ძიება. დაახლოებით 1828 წლის ივნისში, როცა ომი დაიწყო, ცნობილი გახდა, რომ ქალბატონმა სოფიომ სულთნისგან შეწყალების ფირმანი მიიღო, რომლითაც თავისი მფარველობის ქვეშ შეჰყავდა გურია. გურიის მცირეწლოვან მფლობელს ძვირფასი ხმალი უსახსოვრა, დედამისა და გავლენიან თავადებს — სხვადასხვა საჩუქრები. იმავე დროს 10-ათასიანი თურქული კოორპისი საქართველოს საზღვრებს მოადგა, პირველი შემთხვევისთანავე რომ გადმოეღებოდა მისი საზღვრები.

როცა გურიის თავადთა კავშირი დაიშალა, საუკეთესო თავადები — ნაკაშიძე, ერისთავი, გურიელი თავისი გლეხებითურთ რუსულ რაზმს შეუერთდნენ, რომელიც მამია ჩოხატაურში იდგა. ქალბატონის ლაღატი ეჭვს აღარ იწვევდა, ამიტომ პასკევიჩმა ხელმწიფეს სთხოვა, ჩამოეშო-

რებინა სოფიო სამთავროს საქმეებისთვის და შეექმნა ახალი საბჭო რუსი შტაბსოფიცრის ხელმძღვანელობით. ხელმწიფემ ამაზე თანხმობა განაცხადა.

ამასობაში ქალბატონის გონებაშიც მოხდა მკვეთრი ცვლილება — ფოთის მოულოდნელმა დაშობამ, მერე ყარსის, ახალციხისა და ახალქალაქის დამარცხებამ თურქებისადმი მისი რწმენა შეარყია. მან პასკევიჩს მისწერა, რომ ნანობდა თავის შეცდომებს და მზად იყო, თავისი ძალებით დაემარცხებინა ქობულეთი და ბათუმიც კი. მაგრამ პასკევიჩს არ შეეძლო ამის დაჯერება. ბუნებრივი იყო იმის ფიქრი, რომ ქალბატონი დროის მოგებას ფიქრობდა ზამთრამდე, როცა გურიის მთიანი ნაწილის ალყას რუსები ვერ შეძლებდნენ.

პასკევიჩმა ქალბატონს დანაპირების შესასრულებლად ორკვირიანი ვადა მისცა. წინააღმდეგ შემთხვევაში გენერალ-მაიორი გესი გურიაში შევიდოდა და ქალბატონს მმართველობას ჩამოართმევდა. პასკევიჩის ეჭვი გამართლდა. ქალბატონი არამარტო არ ფიქრობდა ჯარის შეკრებას, არამედ თავადაც დატოვა ოზურგეთი და სოფელი მოყვანეთში გადავიდა თურქეთის საზღვართან ახლოს, სადაც მისი ქონებაც გადაქონდა.

29 სექტემბერს დამთავრდა დრო ამოიწურა, 30-ში კი ორი რუსული ბატალიონი გურიის მთავრობითი ბატალიონი შეიქმნა.

შემინებულმა ქალბატონმა, არ ელოდა რა შექარის ასე სწრაფ ასრულებას, არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო; მას უკვე უნდოდა, ოზურგეთში გამგზავრებულიყო და რუსეთის ხელმწიფის გულმორწყალებით მიეღო, მაგრამ მასთან მყოფმა თავადებმა მოახერხეს მისი გადარწმუნება. ამან გადწყვიტა მისი ბედი. 2 ოქტომბერს იგი თავისი ვაჟით, ორი ქალიშვილითა და რამდენიმე ერთგული თავადის თანხლებით საზღვარგარეთ გაიქცა.

ამასობაში რუსეთის არმიამ ოზურგეთი, ნაგომარი, ასკანა და ლიხაური დაიკავა. გაქცეული გურიელის ქვრივს ჩამოერთვა გურიის სამთავრო. იგი დროებით სამართავად გადაეცა პოლკოვნიკ კულიაბკის.

გასილი კოტო
ხუთგონი ნაწარმიდან „კამპანის ომი“

ისტორიული მემკვიდრეობა №1 (114)
საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით, 2011 წლის 3 მარტიდან
საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით, 2011 წლის 3 მარტიდან
საქართველოს მემკვიდრეობის მინისტრის განცხადებით, 2011 წლის 3 მარტიდან

გაეოვიდა
საეხნიარ-კოკულაკული
ქარანის
«ისტორიული მემკვიდრეობა»
მეთოთხეაბა ნოეკი
ფურნალი დღევანდელი აქტიულორ საკითხებსაც ეხმიანება და ქვეყნის ახლო თუ შორეულ წარსულსაც ვრცლად მიმოიხილავს. პრობლემები, რომლებზეც „ისტორიული მემკვიდრეობის“ ფურცლებზე მსჯელობენ, უთუოდ მიიქცევს მკითხველთა ყურადღებას, რადგან „ისტორიული მემკვიდრეობა“ საქართველოს წარსულსა და აწმყოს ობიექტურად ასახავს. ფურნალის რედაქტორია თამარ ქორიძე.

არასამთავრობო ორგანიზაცია — „ისტორიული მემკვიდრეობა“ — გამოსცა ისტორიული დოკუმენტების კრებულთა სერიას, რომელიც XVII-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს მოვლენებს ასახავს. კრებულები გამომცემლობაში გამოცემულთა ფართო წარსულის, რამათუ პოლიტიკური კონსტრუქციის გასაგებად, მხოლოდ ისტორიულ ფაქტებსა და დოკუმენტურ მასალას წარსულ სინამდვილას. თუკი გავითვალისწინებთ ისტორიული ფაქტებით მნიშვნელოვან მზარდ და საშიშ ტენდენციას, გამოსცა ფრად დროული და აქტუალური. მსურველებს კრებულების შეკრება შეუძლიათ ნიგის მალაჩიანის დაგზავნით ინფორმაციისთვის დაგზავნით: 34-32-95.

ფარადი რევოლუციის ანატომია

იმისათვის, რომ გავიგოთ, რა ხდება თანამედროვე მსოფლიოში, შეთქმულებათა თეორიების კითხვა სულაც არაა საჭირო, აშშ-ის ოფიციალურ სამხედრო დოქტრინაში — „სრული სექტორით დომინირება“ — ჩაღრმავებას სავსებით საკმარისია. მთელ მსოფლიოსა და მის რეაქციულ კონტროლს მიღწევა ყველა კონტინენტზე, ოკეანეებსა და კოსმოსურ სივრცეშიც კი ახსოვს უფრო სამხედრო უპირატესობითა და გავლენით. გამორიცხული არაა ბირთვული იარაღის გამოყენებაც, მაგრამ მთავარი დამხმარე მექანიზმები საერთაშორისო კორპორაციების შეუზღუდავი მუშაობა, ფინანსური მაქინაციები, ქვეყნების სუვერენიტეტის ლიკვიდაცია, მათი გლობალური სტრუქტურების დამორჩილება, არასამთავრობო ორგანიზაციების გლობალური ქსელების შექმნა და „ფერადი რევოლუციები“.

ვიდრე 1991 წელს რიგა ბარკადებზე ზეიმის ეიფორიაში იყო გახვეული, გაეროს ტრიბუნლიდან აშშ-ის პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშ-მ უფროსმა ამერიკის უმთავრესი მიზანი გამოაცხადა და მას „ახალი მსოფლიო წესრიგი“ დაარქვა.

დღეს შეიძლება მოვხდინოთ კონსტატირება, რომ ცივი ომი არ დასრულდებულა, არამედ მისი საფუძვლიანი ესკალაცია მოხდა. აშშ-ის სამხედრო ბიუჯეტი წელიწადში 300 მილიარდ დოლარს აღწევს, ევროპაში, აზიასა და აფრიკაში მისი ახალ-ახალი სამხედრო ბაზები ჩნდება. ევროპაში კვლავაც დგას ბირთვული რაკეტები, მსოფლიოში ბრძოლა მთავარი, ოკუპაციები და გენოციდები, მკვლელობები და დევნის რაიონები.

ლატვიის ქალაქებში ნატოს ტანკებისა და ჯავშანტექნიკის დემონსტრირება მიმდინარეობს, ცაში კვლავაც პატრულირებენ სამხედრო თვითმფრინავები. ლატვიელი დიპლომატები მეზობელი ქვეყნების საქმეებში ერევანს, ლატვიელი სამხედროები კვლავ იბრძვიან ავღანეთში, მონაწილეობენ ერაყისა და სხვა ქვეყნებში ოკუპაციაში.

რუსეთისა და ჩინეთის ირგვლივ, ისევე, როგორც შუა აღმოსავლეთში, ახალ-ახალი „ფერადი რევოლუციები“ ჩაღრმავდა. ახლა მსოფლიოში სულ უფრო მეტ ადამიანს ესმის, რას გულისხმობდა უფროსი გენერალი, რომელიც „ახალ მსოფლიო წესრიგში“ საუბრობდა. აშშ არც პირველი იმპერიაა და არც უკანასკნელი, რომელიც მსოფლიოში ბატონობისკენ მიისწრაფის.

სინამდვილეში ლატვიაში რევოლუცია მენარმეების წინააღმდეგ იყო მიმართული. პოლიტიკური გაერთიანება „ერთობა“, რომლის შემადგენლობაში საოცარი დამოხვევის წყალობით სოროსის ფონდის მიერ დაფინანსებული პერსონებიც აღმოჩნდნენ, ოლიგარქების გამოაშკარავებითა და მათთან ბრძოლით იყო დაკავებული. არჩევნებზე სწორედ „ერთობამ“ გაიმარჯვა, გაერთიანება „უკეთესი ლატვიისთვის“ კი, რომელიც მრავალი ლატვიელი მენარმე გაერთიანდა, ოპოზიციაში დარჩა. დაიწყო მასობრივი ანგარიშსწორება მენარმეებთან, რასაც ადრეც და ამ დრომდეც „შვედური ბანკები“ ახორციელებენ. ეს იმას ნიშნავს, რომ ლატვიელი



ეკვიპის მოქალაქე ნაფილად მინიუნას აშშ-ის დომინირების პირობაზე გლობალური კარვის სისტემის წინააღმდეგ გლობალური რევოლუციის დასაწყისზე



მენარმეების საკუთრებასა და ბიზნეს-სფეროებს ახლა უცხოელები აკონტროლებენ.

რომ გაცილებით აქტიური ადამიანებისა და მენარმეების მხარდაჭერა მოეპოვებინათ, მათ სანარმოებისა და საკუთრების ნაწილის პრივატიზების საშუალება მისცეს. მეორე ეტაპი ლატვიის დედნულსტრალიზაცია და ეროვნული სახალხო მეურნეობისთვის არასასურველი პირობების შექმნა გახდა. ეს მეურნეობები აიძულეს, უზარმაზარ საერთაშორისო კარტელთან კონკურენციაში ჩაბმულიყვნენ და უცხოური ბანკებიდან კრედიტები აეღოთ. მესამე ეტაპზე ლატვიის სანარმოები საველე მონობაში აღმოჩნდნენ.

ახლა უკვე კარგად ჩანს, რომ უცხოურმა კაპიტალმა, ფაქტობრივად, აიკუმულა ლატვიის ხელისუფლება, ყველა ნაბიჯი შეათანაბროს იმ უცხოურ სტრუქტურებთან, რომლებიც ლატვიის მოქალაქეებს არ აურჩევიათ და რომლებიც ლატვიის სტრუქტურის წინაშე არანაირი პასუხისმგებლობა არ აქვთ.

წელს ეგრეთ წოდებული პროექტი „გაფართოებული შუა აღმოსავლეთი“, რომელიც მუსლიმანურ ქვეყნებში რეჟიმების შეცვლას ითვალისწინებდა.

შუა აღმოსავლეთის ქვეყნები დიდი რაოდენობით კვების პროდუქტის იმპორტზე არიან დამოკიდებული. საერთაშორისო ბაზარზე სურსათის ფასების ზრდის გამო ამ რეგიონს შიმშილობა ელის. შიმშილობის მიმართ უაქტიური საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ თავისუფალი რეჟიმი, რომელიც ყველაზე აუცილებელი პროდუქტების სუბსიდირებას კრძალავს. სწორედ ამის გამო გამოვიდა ხალხი ქუჩაში არა მხოლოდ ტუნისისა და ეგვიპტეში, არამედ რეგიონის სხვა ქვეყნებშიც. შეიძლება დიდი ალბათობით ვივარაუდოთ, რომ არეულობები დასავლეთ ევროპაზეც გავრცელდება, იქ შუა აღმოსავლეთიდან მილიონობით იმიგრანტი ცხოვრობს. ამ თვალსაზრისით, ეკვიპტის მოქალაქეები ნაფიუნად მინიუნას აშშ-ის დომინირების პირობაზე გლობალური კარვის სისტემის წინააღმდეგ გლობალური რევოლუციის დასაწყისზე.

მაგრამ ყველაფერი ასე მარტივად არაა. ქაიროს მოედანზე ყველაზე ენერგიული პროტესტანტიც კი მხოლოდ მუხარაქის გადაგომას მოითხოვდა და, აბსტრაქტული ლოზუნგების გარდა, არც ერთი კონკრეტული მოთხოვნა და მიზანი არავის წამოაყენებია. ნაცნობი სცენარია — ამგვარი იდეური ვაკუუმი უდიდეს შესაძლებლობებს ტოვებს რევოლუციის მომდევნო ფაზაზე მანიპულაციებისთვის და ლატვიელებმა ეს საკუთარ ტყავზე უკვე იწყეს. არავის მოსყიდვა არაა საჭირო, საერთაშორისო სავალუტო ფონდს დაქვემდებარებულ სანაღმენი ფორმაში ისედაც ყველაფერი უცხოელებს ეკუთვნის.

„Neatkarigas Rita Avize“

ობამას ადმინისტრაციის მიერ 14 თებერვალს წარმოდგენილი ახალი ბიუჯეტის თანახმად, შეერთებული შტატები კავკასიისა და შუა აზიის ქვეყნების უმეტესობისთვის დახმარების პროგრამების დაფინანსების შემცირებას აპირებს. აზერბაიჯანის დახმარება მნიშვნელოვნად შემცირდება, საქართველოს, ტაჯიკეთის, თურქმენეთისა და უზბეკეთის დახმარებები კი წინა წელთან შედარებით — მცირედ. მნიშვნელოვნად გაიზარდა მხოლოდ ყაზახეთის დახმარება. საერთო ჯამში ასიგნირება კავკასიისა და შუა აზიის რვა ქვეყნისთვის დაახლოებით 4%-ით შემცირდება და 241 მილიონი დოლარიდან 232 მილიონამდე დაიკლებს. სახელმწიფო დეპარტამენტის ბიუჯეტი კი საერთო ჯამში 1%-ით იზრდება.

ადმინისტრაციის მიერ შემოთავაზებული ბიუჯეტი ჯერ უნდა დაამტკიცოს კონგრესმა, რომელსაც მასში ცვლილებების შეტანის უფლება აქვს. მაგრამ, სახელისუფლო პროექტის მიხედვით, თეთრი სახლის პრიორიტეტები ნათელი ხდება. საუბარია 2012 ფისკალური წელისადმი, რომელიც 2011 წლის ოქტომბერში იწყება.

8%-ით, ანუ ადმინისტრაციის მიერ მოთხოვნილი პარანაღალი 36,7 მილიონიდან 34 მილიონამდე შემცირდება. ამ დახმარების ნახევარზე მეტი საერთაშორისო სტრუქტურისაა განკუთვნილი. ძირითადად, რეგიონის ყველა ქვეყნისთვის, გარდა უზბეკეთისა, სამხედრო დახმარება ან უმნიშვნელოდ შემცირდება, ან იმავე დონეზე დარჩება. უზბეკეთის დახმარება კი საგ-

ვაშინგტონი შუა აზიასა და კავკასიას დახმარებას უმჯობესებს



რძობლად გაიზარდა. უცხოეთის ქვეყნების სამხედრო დაფინანსების პროგრამის ფარგლებში ის 100 ათას დოლარს მიიღებს. ეს მის მიერ ამ პროგრამის მიხედვით მიღებული პირველი ფული იქნება 2005 წლის შემდეგ. მაშინ ანდოიანში ხოცვა-ჟლეტის გამო ქვეყანას დახმარება შეუ-

წყდა. საბარტოვლოს ერგება, ასევე, სამოქალაქო დახმარების დიდი ნაწილი — 66,7 მილიონი დოლარი. განსაკუთრებით იყოს 68,6 მილიონი. განმარტებით დოკუმენტში აღნიშნულია, რომ საბარტოვლოსთვის მხარდაჭერა

ეკონომიკურ და პოლიტიკურ რეფორმებს უკავშირდება. სახელმწიფო დეპარტამენტის აზრით, საქართველოსთვის განეწესება დახმარება უნდა „გაამყაროს ხელისუფლების დანაწილება, სამოქალაქო საზოგადოებას ახალი ცხოვრების სული ჩაუდგას, გააძლიეროს პოლიტიკური პლურალიზმი, ხელი შეუწყოს დამოუკიდებელი მასმედიის განვითარებას და ინფორმაციასთან თავისუფალ წვდომას, ეკონომიკის აღდგენას, ენერგეტიკული უსაფრთხოების ზრდას და სოციალური სექტორის შემდგომ რეფორმირებას“.

პარლამენტ დემოკრატიაზე გადასვლის მცდელობისთვის პრიორიტეტული სტატუსი დაიმსახურა. ამასთანავე, 2012 წელს დახმარების სავალუტო მოცულობა წინა წელს, ჯერ კიდევ ყურმანბეკ ბაკიევის პრეზიდენტობისას, მოთხოვნილზე დაწვდნაა. ტაჯიკეთის დახმარება მართლაც ამ ქვეყანაში სტაბილურობის გამყარებისკენ, განსაკუთრებით აშშ-ისთვის ავღანეთში მოქმედების მხრივ მისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო, — აღნიშნავს სახელმწიფო დეპარტამენტი. დახმარების პროგრამები ტაჯიკეთს უნდა დაემართოს საზღვრების უსაფრთხოების გაძლიერებაში, ნარკოტიკებისა და ექსტრემიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ჯანდაცვისა და განათლების სისტემათა გაუმჯობესებაში.

EurasiaNet

მსოფლიო, გაზიარებული თქვენი მოსაზრებები? დაგვიკავშირეთ: 34-32-95, ან მოგვწერეთ: info@geworld.net

საქართველო

„მეორე მსოფლიო ომის სპეცნაზი“ — ასე ჰქვია დოკუმენტურ ფილმს, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროინდელი საბჭოთა სპეცსამსახურების შესახებ ნაკლებად ცნობილ ფაქტებზე დაყრდნობით რეჟისორმა ალექსეი ბისტრიცკიმ 2010 წელს გადაიღო. წამყვანი მარინა ჩუბკინა ისტორიკოსებთან და სხვა სპეციალისტებთან ერთად დივერსიული ოპერაციების სტრატეგიასა და ტაქტიკაზე მოუთხრობს მკითხველს. სწორედ ამ სტრატეგიამ და ტაქტიკამ იქონია მნიშვნელოვანი გავლენა რუსეთის სპეციალური დანიშნულების რაზმების ჩამოყალიბებასა და განვითარებაზე.

«ბაჰოსდილოები»



1943 წლის მაისის ერთ ღამეს მინსკის ოლქის პარტიზანული აეროდრომიდან საბჭოთა სამხედრო-სატრანსპორტო თვითმფრინავი აფრინდა. ამ თვითმფრინავით მოსკოვში გაფრინდნენ ახლადდაქორწინებულები — გერმანელი ოფიცერი კურტ ვლუსგუსი და მისი ახალგაზრდა რუსი ცოლი ვერა სტასოვა. მოსკოვში მოუთმენლად ელოდნენ ვერმანების მალალი რანგის ოფიცერს. ბელინის მიერ კურსკის შემოგარენში 1943 წლის ივლისისათვის დაგეგმილი სამხედრო ოპერაცია „ციტადელის“ შესახებ მან უმნიშვნელოვანესი დეტალები იცოდა.

დასასრული. დასაწყისი იხ. №5



ვარი ინფორმაციის ფლობის შემთხვევაში მტრის დივერსანტების ქმედებების ნეიტრალიზება რთული ამოცანა აღარ იქნებოდა.



— მოვიდა ბიჭი. ყველა ვინც მოდიოდა რაზმში, თავდაპირველად გასაუბრებლად გადაიღო; ვარკვევით — ვინ არის, რა არის, საიდანაა... ჩვენი ბიჭებიდან, ვინც იქ ცხოვრობდა, ერთ-ერთმა შენიშნა, რომ ახალმოსული ხელში პატარა შეკერვა მალავდა. პატარა აბები იყო, ყოველგვარი წარწერის გარეშე. შეფიქრებინდი, იმიტომ, რომ რაღაც კრისტალური ბრწყინვალეობა დაჰკრავდა. ავიღე ერთი აბი და ახალმო-სულს ვუთხარი, დალიეთ, გეთაყვა. ჯერ ცარცივით გათეთრდა, შემდეგ უკან გადადგა ნაბიჯი. ვუთხარი, რისი გემინიათ, ეს ხომ გრიპის სანაწარმადმდეგო აბია, სამიში არაფერია-მეთქი. ამის თქმა იყო და გიჟივით გავარდა შენობიდან გარეთ, მაგრამ გარეთ ჩვენი მეთვალყურეები იდგნენ და დააკავეს. მოგვიანებით აბი ძალს ვაჭამეთ და მაშინვე მოკლა. როგორც მივხვდით, ამ კაცს დავალებული ჰქონდა, რაზმის ხელმძღვანელობა მოეწამლა.

გერმანელი მზვერავების მოსამზადებელი ერთ-ერთი სასწავლო ცენტრი ბორისოვის სადაზვერვო სკოლა იყო. 1942 წლის დასაწყისში მოსკოვში ამ სკოლის ზუსტი ადგილ-მდებარეობა კი არ იცოდნენ. საბჭოთა კონტრ-დაზვერვის მიერ დაკავებული გერმანელი სპეცაგენტებისგან მხოლოდ ის იყო ცნობილი, რომ სკოლა ქალაქ ბორისოვის შემოგარენში მდებარეობდა. მისი აღმოჩენა მინსკის ოლქში მოქმედი ყველა პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელს დაევა. ცენტრის ბრძანება პირველმა პეტრე ლაპატინმა შეასრულა. სადაზვერვო სკოლის პოვნა მზვერავთა რაზმ „გამოცდილების“ მზვერავმა ნიკოლაი კაპაშევამ მოახერხა. „სატურნის სანიტორ-ლო“, როგორც მისამ რეზიდენს მიემართა-ში მოიხსანიებდნენ ბორისოვის სპეცრაზმის სკოლას, გამოსაშარავდა.



ომის დაწყების შემდეგ გერმანელი აგენტების მხოლოდ 30% გამოცხადდა აღიარებითი ჩვენებით, ნებაყოფლობით, ომის დასასრულისათვის მათი რაოდენობა 70%-ს აღწევდა. დანარჩენები დასაჭერები იყვნენ. მტრის აგენტურასთან ეფექტური ბრძოლისთვის ლუბიანკასთვის აუცილებელი გახდა, გერმანელების სადაზვერვო სკოლებში საკუთარი აგენტები ჩაენერგათ. ამ შემთხვევაში კონტრდაზვერვა კურსანტების გაზიარებულ ნდობის საშუალებას მოიპოვებდა და ფრონტის ხაზზე მათი გადასვლის დროსა და ადგილსაც გაიგებდა. ამგ-

1942 წლის ზაფხულში ამ სკოლაში შეაღწია მზვერავმა ანდრეი ჩერნოვმა. ის ბორისოვის შემოგარენში პარაშუტი დაეშვა და სულ რაღაც ერთი თვის შემდეგ სადაზვერვო სკოლის კანცელარიაში მუშაობდა. ამის შემდეგ კოლეგა გადაიბირა. ისინი არა მხოლოდ ავროგებდნენ და სპეცრაზმ „გამოცდილებს“ გადასცემდნენ გერმანიის სადაზვერვის შესახებ ინფორმაციებს, არამედ დოკუმენტებს აყალიბებდნენ, გამიზნულად წერდნენ მათში მცდარ მონაცემებს. ნიუთელი არმიის წინგაკე გრაფაში „საბრძოლო წოდება“ „ნიუთელარმიის“ ნაცვლად წერდნენ „რიგის“. ამ მოღვაწეობას ისინი 1943 წლის გაზაფხულამდე განაგრძობდნენ, მანამდე, ვიდრე ორივე სადაზვერვო სკოლის ხელმძღვანელების მხრიდან ეჭვქვეშ არ მოექცა.

ჩერნოვის მენეჯერ საბჭოთა ავიაციის შეტყვისას დაიღუპა, თავად ანდრეიმ ლაპატინის ბანაკამდე მიაღწია. რამდენიმე დღის შემდეგ იგი თვითმფრინავით გაგზავნეს მოსკოვში.



როდესაც ანდრეი ჩერნოვი ლუბიანკაზე გამოჩნდა, თავდაპირველად არ უჯერებდნენ. მზვერავს თან ჰქონდა გაყალბებული დოკუმენტების ნიმუშები და დეტალური მონაცემები ბორისოვის სადაზვერვო სკოლის სამასი კურსდამთავრებულის შესახებ. მოპოვებული მასალის საფუძველზე შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატმა გამოსცა ორი კრებული: „მასალები გაყალბებული მასალების ამოსაცნობად“ და „ბეჭდვები და შტამპები, რომლებსაც გერმანული სადაზვერვო ორგანოები იყენებდნენ ყალბი დოკუმენტებისთვის ნამდვილობის მისანიჭებლად“.



პეტრე ლაპატინი მიღწეულზე არ შეჩერებულა. გადაწყვიტა, სადაზვერვო სკოლის ადმინისტრაციიდან ვინმეს გატაცება მოეწყო. მზვერავებს ამ ოპერაციაში დიდი დახმარება გაუწია ქალაქ ბორისოვის ბურგომისტრმა პეტრე პარაშკოვიჩმა. ქალაქის მეთაურის თანამდებობა მან პარტიზანების დავალებით დაიკავა. მის ბინაში პარტიზანები იყვნენ ჩასაფრებული და ერთ დღესაც მზვერავთა სკოლის მეთაური, პოლკოვნიკი ნიკოლაი გერმანოვი. გერმანელი დაუყოვნებლივ გაგზავნეს მოსკოვში თვითმფრინავით. ლუბიანკაზე მან „სატურნის“ მუშაობა გაშიფრა და კურსანტთა უმეტესობის სახელი და პირადი ნიშნები გააშვილა.

გერმანული დაზვერვის მრავალთვიანი მუშაობა ახსოვსტურად უშედეგო აღმოჩნდა. „გამოცდილთა“ შემდგომი მუშაობა ბორისოვის სკოლასთან დაკავშირებით საჭირო აღარ იყო. გერმანელი მზვერავი, დიპლომატი მარია ოსიპოვა მისი მუშაობის შედეგად დაეცა. „გამოცდილების“ მეტროლოგებმა, ფაქტობრივად, ბელარუსში გერმანელების დივერსანტთა მომზადების პარალიზება მოახდინეს. მაგრამ გერმანელი მზვერავების ბარდა, ისინი გაცილებით მსხვილ ნადავლსაც იტაცებდნენ.

„გამოცდილების“ მეტროლოგებმა, ფაქტობრივად, ბელარუსში გერმანელების დივერსანტთა მომზადების პარალიზება მოახდინეს. მაგრამ გერმანელი მზვერავების ბარდა, ისინი გაცილებით მსხვილ ნადავლსაც იტაცებდნენ.

ჯერ კიდევ გასული საუკუნის 30-იან წლებში, მინსკთან სამხედრო ქალაქი „ურუჩიე“ აშენდა. ომის პირველ დღეებშივე ის ვერმანების ქვედაწყობებმა ჩაიგდეს ხელთ. გერმანელებმა გადაწყვიტეს, სამხედრო ქალაქი პირდაპირი დანიშნულებით გამოეყენებინათ და იქ სამხედრო-საპერო ძალების შტაბი, შტაბის შემადგენლობის საერთო საცხოვრებელი და ჯარის სხვა ცენტრები განათავსეს. ქალაქის გვერდით მდებარეობდა სპეციალური დანიშნულების რაიონ-სადგური და ყაზარმები, სადაც ინჟინრები, ტექნიკური პერსონალი და დაცვა ცხოვრობდნენ. პეტრე ლაპატინმა გადაწყვიტა, აეფეთქებინა ოფიცერთა საერთო-საცხოვრებელი თავის მობინადრებთან ერთად. ამ გეგმის მომზადება და რეალიზება მინსკულ მარია ოსიპოვას დაევა. მას „ურუჩიას“ ორი მოცუ-



რები — მარია მალაკოვიჩი და გალინა ფინსკაია ეხმარებოდნენ. სამ ახალგაზრდა ქალს უდიდესი მოცულობის სასიკვდილოდ სახიფათო სამუშაო უნდა შეესრულებინა. მათ უნდა შეერჩიათ ადგილი ასაფეთქებლების დასაბრუნებას. უნდა გაერკვიათ სამგზო რეჟიმის თავისებურებები, მომსახურე პერსონალს შორის გაბნეული საბჭოთა მოქალაქეების მცირე რაოდენობაში უნდა ეპოვებოდა ადამიანი, ვინც ნაღმის ობიექტზე შეტანას დასთანხმდებოდა.

ალგარტ ცისარსკი, პარტიზანული რაზმის „გამარჯვებულების“ ექიმი:

— ჩვენთვის გადმობირების იარაღი მხოლოდ და მხოლოდ იდეური იყო. რა შეგვეძლო შეგვეთავაზებინა ადამიანებისთვის მტრის ზურგში, გარდა საკუთარი სიცოცხლისა და საკუთარი იდეებისა? როდესაც მათ თვალში უკვე წავიფარებდით მტრის მხრებზე, ყველაფერი გასაგები იყო. მასსოვს დასავლეთ უკრაინის გლენობა, რომელიც 1938 წელს შემოგვიერთდა, მანამდე კი ცხოვრობდნენ პოლონეთში, სადაც კაპიკი ცხოვრების მთავარი კერა იყო. ეს ადამიანები უნდა გადმოგვიბრებინა, ჩვენს რმენასთან გვეზიარებინა. მაგრამ არც ფული და არც რაიმე სხვა, მხოლოდ სიტყვა და იდეა, ის იყო ჩვენი ერთადერთი იარაღი.



თავიდან კანდიდატს ტექნიკურ პერსონალს შორის ეძებდნენ. მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მამინე მარინა ოსიპოვა გადაწყვიტა, საერთო საცხოვრებელში მოეწყო ვინმე იატაკქვეშელი. გაირკვა, რომ საერთო საცხოვრებელში სასწრაფოდ სჭირდებოდათ დამლაგებელი. ოსიპოვამ გადაწყვიტა, ამ სამუშაოზე ვერა სტასანა გაეგზავნა. ომამდე გოგონა ბრესტში ცხოვრობდა და გერმანული გიმნაზია ჰქონდა დამთავრებული. მშვენივრად ფლობდა გერმანულ და პოლონურ ენებს. ვერა სტასანა თავად მივიდა ოფიცერთა საერთო საცხოვრებლის კომენდანტთან და დამლაგებლობა შესთავაზა. იგი კომენდანტს პოლონულ გერმანულად გაეცნო, მანაც ყოველგვარი ეჭვისა და ფიქრის გარეშე მიიღო სამსახურში. ოფიცერი ქალის მშვენიერებამ, განსაკუთრებით კი ოქროსფერმა თმამ მოიხიბლა. ვერას საერთო საცხოვრებლის ოფიცერთა სასადილო ოფიცინის ადგილი შესთავაზეს.



როდესაც ლაპატინმა იატაკქვეშელის სამუშაო ადგილის შესახებ შეიტყო, გადაწყვიტა, თავად საერთო საცხოვრებლის ნაცვლად ეს სასადილო აუფეთქებინა. იქ ნაღმის მიტანაც უფრო ადვილი იქნებოდა და უფრო მეტ მსხვერპლსაც გამოიწვევდნენ. რამდენიმე დღე გავიდა. მარინა ოსიპოვა რეგულარულად ატყობინებდა მეთაურს ოპერაციის მსვლელობის შესახებ. პარტიზანებმა საიდუმლოდ გაგზავნეს მინა „ურუჩიეში“ და ვერას მისი გამოყენება ასწავლეს. გეგმის მიხედვით, აფეთქების შემდეგ თავად ვერა პარტიზანებთან უნდა მისულიყო. რაზმ „გამოცდილების“ მომზადეს სპეციალური დოკუმენტები, რომლებიც ვერას ტყემდე მისასვლელ გზებზე ყველა პოსტის უპრობლემოდ გავლაში დაეხმარებოდა.

მოულოდნელად, აქტა ლაპატინმა ბრძანება გასცა, დაუშვინებლივ შეინიშნათ ოპერაციის დასრულების შემდეგ, ნაღმი უკან ნამოხლოთ და ვერასთან ყველა კონტაქტი გაწყვიტათ.

ოპერაციის მომზადების პროცესში ადამიანური ფაქტორი ამოქმედდა. ვერა ვერმანტის მალალი რანგის ოფიცერს შეუყვარდა.

დავალებასა და პირობას

ღია კოლიამ სამართლიანად გადაწყვიტა, რომ ჩეკისტების მიერ გადაბირებული გერმანელი ოფიცერი ლუბიანსკისთვის უფრო მნიშვნელოვანი და ღირებულია, ვიდრე რამდენიმე ათეული მკვდარი სამხედრო მოსამსახურე. ლაპატიონი ბრძანა, ეს ოფიცერი ნებისმიერ ფასად მიეყვანათ რაზმში. სასურველი იყო, რომ მას ნებაყოფლობით განეცხადებინა თანხმობა ჩეკისტებთან თანამშრომლობაზე. აგენტის გულწრფელობაზე ძალზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული.



გერმანელთან რომანი მიზანმიმართულად ვითარდებოდა. ვერას უფლება ჰქონდა, დღე-ღამის ნებისმიერ დროს თავისუფლად მისულიყო საერთო საცხოვრებელში. იატაკქვეშელები უკვე ელოდნენ დივერსიის ორგანიზების ბრძანებას, რომელიც გალინა ფინსკიას უნდა ეცნობებინა მათთვის. მაგრამ მან ბოძი უკან წაიღო და ლაპატიონის ბრძანება გადასცა — შეეპყროთ და პარტიზანთა რაზმში მიეყვანათ ვერას საქმრო.

გოგონამ შეყვარებული დაარწმუნა, ნებაყოფლობით წასულიყო ტყეში პარტიზანებთან. ეს გზა ორივესთვის სასიკვდილო საფრთხესთან იყო დაკავშირებული — 75 კილომეტრზე იყო გადაჭიმული და უამრავ საკონტროლო პუნქტს მოიცავდა. თითოეულ ამ პუნქტზე დოკუმენტებს გულდასმით ამოწმებდნენ. მაგრამ რაზმის სპეციალისტებმა თავიანთი საქმე იცოდნენ. დოკუმენტებმა უკლებლივ ყველა შემონიშნა გაუძლო.



გადაბირებულთან პირველი გასაუბრების შემდეგ პეტრე ლაპატიონმა მაშინვე გამოიძახა რადიოინფორმაციების გადაცემის სპეციალისტი. ცენტრში სასწრაფო რადიოგრამა გაიგზავნა. როდესაც პავლე სუდოპლატოვმა ღია კოლიას გზაზე წავიდა, მაშინვე დაურეკა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარ ბერიას და დაუყოვნებლივ მიღება სთხოვა. ერთად მათ კიდევ ერთხელ წაიკითხეს სპეცრაზმის მეთაურის მიერ გაგზავნილი რადიოგრამის ტექსტი.

გლუსგუსისთვის თითქოსდა ცნობილი იყო, რომ ბერმანის არმიის ბენარალური შტაბი მიმდინარე წლის ზაფხულში ძალად ორიოლთან ფრონტის ხაზის გარღვევას, სტალინგრადზე შეტევასა და კავკასიის ჩამოშრას გეგმავდა. გლუსგუსი ირწმუნებოდა, რომ ფრონტის ცენტრალური ნაწილი გერმანელებს ათასამდე თვითმფრინავისთვის მოეყარა თავი. ფრონტის ცენტრალური ნაწილის სამხედრო საპაერო ძალების მეთაურობას სათავეში ავიაციის გენერალი რიტერ ფონ გრეიმი ედგა და მათი საყრდენი ქალაქ ორმაში იყო განლაგებული. გლუსგუსმა ფრონტის ცენტრალური ნაწილის ტერიტორიაზე განლაგებული 32 (17 მოქმედი და 15

მშენებარე) აეროდრომის დისლოკაციის ადგილი, აეროდრომზე თვითმფრინავების რაოდენობა და პარტიზანულად დედაცვის მდგომარეობა აღწერა.

ბერმანელის მოსალოდნელი ჩაყვანა იმავე დღეს გადაწყვიტა. წითელი არმიის ხელმძღვანელობამ მისგან ძალზე ღირებული ინფორმაცია მიიღო და სწორედ ეს დახმარა მათ კურსკის ბრძოლის მოგებაში. თავად გლუსგუსის ცხოვრება მშვენივრად წარიმართა. ომის დამთავრების შემდეგ იგი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო არმიამი მსახურობდა. მან ფაშისონის წინააღმდეგ ბრძოლისთვის გერმანული ორდენებიც მიიღო და საბჭოთა ჯილდოებიც.



მოსკოვში ყველა გერმანელი ვერ ხვდებოდა. ბელორუსიის ოკუპაციური ადმინისტრაციის ხელმძღვანელის — ვილჰელმ კუბეს ლიკვიდაციას მინსკის ოლქში მოქმედი ყველა მსხვილი პარტიზანული რაზმის მეთაური ცდილობდა. ოკუპაციური ადმინისტრაციის მაღალი რანგის ჩინოვნიკზე ნამდვილი ნადირობა იყო გამოცხადებული. პარტიზანთა ყველა მეთაურს სურდა, პირველს ეცნობებინა მოსკოვისთვის წარმატებით განხორციელებული სპეცოპერაციის შესახებ. რუბი შეჯიბრი 1943 წლის სექტემბრის ბოლოს დასრულდა. ვილჰელმ კუბეს განადგურების უსასაზღვრო პიტირ ლაპატიონმა აცნობა.

მინსკის ოლქში მოქმედი სხვა სპეცრაზმების მეთაურთაგან განსხვავებით, ლაპატიონმა თავდასხმის ნაცად ხერხებზე უარი თქვა და სავსებით მართალი აღმოჩნდა. სხვა მეთაურები კუბეს მანქანის გზაზე ჩასაფრებებს აწყობდნენ, ცდილობდნენ, მოეწამლათ ან აფეთქებინათ ქალაქის დრამატული თეატრის შენობაში გამართული საზეიმო შეკრებისას. ყველა მცდელობა წარუმატებლად დასრულდა. მსხვერპლი უკანასკნელ წამს იცვლიდა გადაადგილების მარშრუტს, იგვიანებდა ან აფეთქებამდე რამდენიმე წუთით ადრე ტოვებდა სახიფათო ადგილს.




ლაპატიონმა გადაწყვიტა, ნაღმი ვილჰელმ კუბეს სახლში დაემონტაჟებინა. ამისთვის ღია კოლიას მის მოსამსახურეებს შორის შემსრულებლის პოვნა დასჭირდა. ჩეკისტმა სათითაოდ დაინჟო საუბრები მინსკში მცხოვრებ მშვერავ ქალებთან. ნადეჟდა ტრანიანმა თავის ნაცნობებს შორის საქალაქო საავადმყოფოს ექიმი ტატიანა კალიტაც დაასახელა. 1942 წლის შუა პერიოდში ვილჰელმ კუბეს პირადი ბრძანებით ქალი აიძულეს, მის სახლში დამლაგებლად ემუშავა. ლაპატიონმა ნადეჟდა ტრანიანს დაავალა, ტატიანასთან კონტაქტი დაემყარებინა და მსხვერპლის დღის განრიგის შესახებ მაქსიმალური ინფორმაცია შეეგროვებინა.



ნადეჟდამ მინსკში შეაღწია და ტატიანა მოძებნა, მაგრამ დაავიანდა, ტატიანა კალიტა კუბესთან უკვე აღარ მუშაობდა. სამაგიეროდ, იგი ახალ დამლაგებელთან ელენე მაზანიკთან შეგობობდა. გაირკვა, რომ ტატიანასაც და ელენასაც, დიდი ხანია, სურდათ პარტიზანებთან დაკავშირება, უბრალოდ, არ იცოდნენ, როგორ მოეხერხებინათ ეს. შემსრულებელი მოიძებნა. მინსკში ნაღმი მარია ოსიპოვა ჩაიტანა. ამ მამაცმა ძალზე შეიმდგმ ძალაქიდან ტყვენი კუბეს უშუალო ლიკვიდატორთა ევაკუირებაც მოახერხა.

რაზმ „გამოცდილები“ ზაზაზე მათ რამდენიმე დღე იცხოვრეს. შემდეგ მოსკოვიდან სპეციალურად გამოგზავნილი თვითმფრინავით ელენა მაზანიკი, ნადეჟდა ტრეიანი და მარია ოსიპოვა ფრონტის ხაზს მიღმა გაიყვანეს.



ყველა მათგანმა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიიღო. შეიძლება ითქვას, რომ ეს იყო კოლექტიური მოქმედების შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ მათ თავად ამის შესახებ არც კი იცოდნენ.

მათთან ერთად უნდა გაფრენილიყო ტატიანა კალიტაც, მაგრამ მას თვითმფრინავზე ნახევარი საათით დაავიანდა. 1943 წლის ნოემბერში საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს მხოლოდ სამ ქალს და არა — ოთხს. ვილჰელმ კუბეს ლიკვიდაციის საქმეში ტატიანა კალიტას გადამწყვეტი როლის შესახებ ომის დამთავრების შემდეგ საერთოდაც დავიწყეს.



პარტიზანული ტერორის მსხვერპლი მხოლოდ გერმანელები არ ხდებოდნენ. მათ შორის იყვნენ მტრის მხარეს გადასული რუსებიც. პიტრა ლაპატიონს ყველა პირსავე ჰქონდა, დიდი სამაგლო ომის ისტორიაში შესულიყო როგორც ალამიანი, რომელმაც წითელი არმიის ყოფილი გენერალ-ლიტენანტის — ანდრეი ვლასოვის ლიკვიდაცია განახორციელა.

ვლასოვი ომის პირველი თვეების განმავლობაში ტყვედ ჩავარდა და საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად რუსეთის განმთავისუფლებელი არმია „როა“ შექმნა. საბჭოთა კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ვლასოვს დაუსწრებლად გამოუტანა სასიკვდილო განაჩენი. საბჭოთა კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა მასზე ნადირობა დაიწყეს. ვლასოვს მატსახელად „ჰვაპი“ შეარქვეს. „ჰვაპის“ პოვნისა და ლიკვიდაციის დავალება ფრონტის ხაზს მიღმა მომუშავე ყველა ჩაქისტურმა სპეცრაზმმა მიიღო.

ამ ოპერაციის აქტიურ მონაწილეთა შორის იყო პეტრე ლაპატიონიც. 1943 წლის ივლისში მან საბჭოთა სამხედრო ტყვეებისგან სამშენებლო კადრების მოზადების სკოლის შტაბის ხელმ-



ძღვანელი მიხეილ ბოგდანოვი გადაიბირა. სასწავლო დანესებულება ქალაქ ბორისოვში მდებარეობდა. 1941 წლის აგვისტოში მიხეილ ბოგდანოვი ტყვედ ჩავარდა. გერმანელებთან თანამშრომლობა მან 1942 წლის ნოემბერში დაიწყო. ლაპატიონმა იცოდა, რომ ბოგდანოვი ომის დაწყებამდე კარგად იცნობდა გენერალ ვლასოვს. აგენტს უბრძანეს, „როაში“ შეერწინა და სარდალი გაენადგურებინა.



ბოგდანოვმა დავალების პირველი ნაწილი შეასრულა — გენერალ-მაიორის წოდებით სათავეში ჩაუდგა „როას“ შტაბის საარტილერიო განყოფილებას. 1945 წლის მაისში ბოგდანოვი „სმერის“ (ორგანიზაციის „სიკვდილი ჯაშუშებს“) თანამშრომლებმა დააპატიმრეს. გამოძიების მსვლელობისას მას ბრალი დასდეს იმაში, რომ პეტრე ლაპატიონის ბრძანებები არ შეასრულა. თავის გასამართლებლად მიხეილ ბოგდანოვმა განაცხადა, რომ დავალების შესრულება არ შეეძლო, ვინაიდან არ დახმარდნენ. რა შეეძლო გაეკეთებინა ბერლინში მარტოს? სასამართლომ ბრალდებულის თავის მართლებას არადაამაჯერებლად მიიჩნია. 1950 წლის აპრილში ბოგდანოვი დახვრიტეს.



1944 წელს რაზმი „გამოცდილები“ წითელი არმიის მიერ გათავისუფლებულ ტერიტორიაზე აღმოჩნდა. ძინა კოლიას საბჭოთა კავშირის გმირის წოდება მიანიჭეს და ლენინის ორდენით დააჯილდოვეს.

ამის შემდეგ კი ორგანოებიდან გაათავისუფლეს ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, რაც ტყვესა და ხეტიალში საშლიანმა ცხოვრებამ განაპირობა. მაგრამ ლაპატიონის ბათიანის უფლებების მიზაზე, შეისაძლოა, სხვაც ყოფილიყო — სპეცრაზმ „გამოცდილების“ მეთაური უპარტიო იყო, იმ ხანად პარტიკომისთვის არაფერი იყო ნიშნული ლაპატიონის გიორგოვიანი. ლაპატიონი პარტიკომის გენერალად 1947 წელს მიიღეს.




კოლეგების — პარტიზანული რაზმების სახელგანთქმული მეთაურების უმეტესობისგან განსხვავებით, სახელმწიფო უშიშროების კაპიტან ლაპატიონს ომის დასრულების შემდეგ არც ჩეკისტური და არც პარტიული კარიერა არ გაუუკეთებია. 1950-იანი წლების დასაწყისში იგი ელევატორის დირექტორად მუშაობდა ბელიორუსის ქალაქ ბორისოვში, სწორედ იმ ადგილას, სადაც ორნახევარი წლის მანძილზე იბრძოდა და სადაც თავისი მეგობრების უმეტესობა მიიბარა მინას.



ავტოავჯი




დიზაინერულმა სტუდია „LA Design“-მა შექმნა კოლექცია სახელად ავტოავჯი და „Spirit of 427“ უნოდა. ამ უცნაური კოლექციის შექმნის მთავარი შთაგონების წყაროდ ლეგენდარული ავტომობილი „AC Cobra 427“ იქცა. ავეჯი რეტროს სტილშია შესრულებული და ავტომობილის ნაწილებისაგან შედგება. კოლექციაში შედის საწერი მაგიდა, დივანი, სავარცხელი და განსაკუთრებით ორიგინალური სანათი.



სტენ მანროს მოდელები



სტენ მანრო 2003 წელს ტელენამეცანის თანამდებობიდან გაათავისუფლეს. სწორედ მაშინ გადაწყვიტა, თავის სარჩენად საყვარელი საქმიანობისთვის მიემართა და მთელი ცხოვრების გატაცება შემოსავლის წყაროდ ექცია. ასე დაიწყო შენობებისა და ლამის მთელი ქალაქების მოდელების ჩულებრივი კბილის საწმენდი ჩხირებით აწყობა.

ესპანეთის ერთ-ერთმა მუზეუმმა მთლიანად შეიძინა. ამ წარმატებითა და აღიარებით ნახალისებულმა ოსტატმა გადაწყვიტა, მსოფლიოში ცნობილი არქიტექტურული შენობების, ტაძრების, კულტურული და ისტორიული ძეგლების მომცრო ზომის ანალოგიები შეექმნა. ულამაზესი კოლექცია, რომელშიც ოსტატის ნიჭის გარდა მისი უდიდესი ნებისყოფაც იგრძნობა, გულგრილს არავის ტოვებს.



ქალაქის ქალაქი

ოთხი წლის შრომა დასჭირდა ქალაქის პატარა მოდელის შექმნას, რომელიც ელექტრონათურებითა და ქალაქის ძრავიანი მატარებლითაა აღჭურვილი. იაპონელი ხელოვანი ვატარუ იტოუ დანით, მაკრატლითა და ჩვეულებრივი ქალაქის ნებოთი მუშაობდა. ტროტუარები, ქუჩები, ბილიკები და კარი ზუსტად ისეა გაკეთებული, როგორც ნამდვილ ქალაქში. ლანდშაფტზე შემორჩენილი ამწეები და კონსტრუქციების აღჭურვილობა კი იმაზე მიაჩნებს, რომ ქალაქის მშენებლობა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება ჯერ არ დასრულებულა.





ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი და მოქალაქეები საბასტროლოდ ბიჩუთუი მიეგზაზრებინან

თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სიმფონიური ორკესტრი 23 თებერვლიდან საგასტროლოდ მიემგზავრება ლიბანში, სადაც მონაწილეობას მიიღებს ალ ბუსტანის მუსიკისა და ხელოვნების მე-18 საერთაშორისო ფესტივალში.

ამ ერთ-ერთი პრესტიჟული ფესტივალის აუდიტორიისთვის ოპერის თეატრის სიმფონიური ორკესტრი მრავალფეროვან პროგრამას შეასრულებს — ლუდვიგ ვან ბეთჰოვენის მეშვიდე სიმფონიას, იოჰანეს ბრამსის მეოთხე სიმფონიას, მეორე კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, „ტრაგიკულ უვერტიურას“, ფერენც ლისტის პირველ კონცერტს ფორტეპიანოსა და სიმფონიური ორკესტრისთვის, ბედრჟიხ სმეტანას უვერტიურას ოპერადან „გაციდული საპატარძლო“, ანტონინ დვორჟაკის „სლავურ ცეკვებს“, კონცერტს ვიოლონჩლისა და სიმფონიური ორკესტრისთვის, სერგეი პროკოფიევის მეორე კონცერტს ფორტეპიანოსა და ორკესტრისთვის.

ამ რეპერტუარში ორკესტრი პარტნიორობას გაუწევს პიანისტებს: მარტინა ფილიაკს, დენის კოუხინს, ვიოლონჩელისტ გოტიე კეპიუშონს. ქართველი მომღერლები: ირინე თაბორიძე, სოფიო ჯანელიძე და ლევი იმედაშვილი ლიბანის ფილარმონიულ ორკესტრთან და ბეირუთის კონსერვატორიის გუნდთან ერთად ააჟღერებენ ანტონინ დვორჟაკის „Stabat Mater“-ს. ალ ბუსტანის მე-18 საერთაშორისო ფესტივალის ერთ-ერთი უმთავრესი მოვლენა კი იქნება 17 და 19 მარტს ვოლფგანგ ამადეუს მოცარტის ოპერის „მითრიდატე, პონტოს მეფის“ წარმოდგენა (დამდგმელი დირიჟორი — ჯანლუკა მარჩიანო, დამდგმელი რეჟისორი — დავით საყვარელიძე, დამდგმელი მხატვარი — ნინო კობიაშვილი), რომლის პრემიერა



თბილისში 19, 20 თებერვალს შედგა. ამითრიდატეში“ იმღერებენ: იანგ იანგი, თეონა დვალაი, ირინე თაბორიძე, სოფიო გორდელაძე, სოფიო ჯანელიძე, ირაკლი მურჯიკელი, ნინო ჩაჩუა, ასევე მონაწილეობას მიიღებენ რუსთაველის თეატრის მსახიობები: ნინო კასრაძე, ნინო თარხან-მოურავი, თემიკო ჭიჭინაძე, დავით დარჩია, დავით უფლისაშვილი და ოპერის თეატრის ორკესტრი.

«მე პრეზიდენტმა მოგაზურა!»

საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტები ისევ უცხოეთში ბრუნდებიან.

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ქართველი ემიგრანტების“ ხელმძღვანელი ზვიად ყუშიტაშვილი აცხადებს, საქართველოს პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის განცხადებას, ემიგრანტების სამშობლოში დაბრუნებასთან დაკავშირებით, თავის დროზე არაერთი ემიგრანტი გამოემხურა და დასაქმების საპრეზიდენტო დაპირების იმედით, საქართველოშიც კი დაბრუნდნენ, მაგრამ დღემდე უმუშევრები არიან. „ჩვენი არასამთავრობო ორგანიზაცია 2010 წლის მარტში დაფუძნდა. მასში 1800 საქართველოში დაბრუნებული ემიგრანტი გაერთიანდა. ყველა მათგანი მიხეილ სააკაშვილის სიტყვებს ენდო და სამშობლოში ჩამოვიდა, მაგრამ პრეზიდენტის დაპირება არ შესრულდა და ისინი უმუშევრები დარჩნენ.“ — განაცხადა ზვიად ყუშიტაშვილმა.

საქინფორმის კორესპონდენტი ერთ-ერთ ემიგრანტს დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა: „საერთოდ არ მინდა ამ თემაზე საუბარი. უბრალოდ, ერთს ვიტყვი: ვერ ვიტან, როდესაც თავს მოტყუებულად ვგრძნობ, მე კი პრეზიდენტმა მოგაზურა!“

2 მარტიდან — განსახლებული «საქართველო» და მსოფლიო»

უნივერსალური წყალი „ისიდა“

მათთვის, ვისთვისაც ძვირფასია ჯანმრთელობა

სუფრის წყალი „ისიდა“ აკმაყოფილებს ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის („ჯანმო“) მოთხოვნებს. სერტიფიცირებულია და დღიური ნორმის ოდენობით შეიცავს ადამიანისთვის აუცილებელ და შეუცვლელ მიკროელემენტებს (J, F, Mn, Ca, K, Mg, Na, Zn).

J იოდი — ხელს უწყობს დედის ორგანიზმში ნაყოფის განვითარებას (დეფიციტი იწვევს კრეტინიზმს); მოქმედებს მზარდის ნორმალურ განვითარებაზე; იცავს ადამიანს ჩიყვისგან; მოქმედებს გულსისხლძარღვთა და ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე.

F ფტორი — მინერალიზაციის პროცესების ბიოკატალიზატორია. მისი დეფიციტი იწვევს მინერალიზაციის დარღვევას, კბილის კარიესს.

Mn მანგანუმი — მოქმედებს ჰორმონებსა და ფერმენტებზე. მისი დეფიციტი იწვევს ინსულინარული აპარატის მოშლას, პოტენციის დაქვეითებასა და პათოლოგიურ სიმსუქნეს.

Ca კალციუმი — მონაწილეობს ძვლის უჯრედების წარმოქმნაში. მოქმედებს სისხლის შეედებაზე, ნერვული იმპულსების გადაცემაზე, ფერმენტული პროცესების აქტივობაზე.

K კალიუმი — უზრუნველყოფს გულის კუნთის მუშაობასა და მის ბუნებრივ აქტივობას, ხელს უწყობს მეხსიერების გაუმჯობესებას.

Mg მაგნიუმი — ამაგრებს ჩონჩხის ძვლებს, კბილის მინანქარს. ხელს უწყობს თირკმელების, ღვიძლის, გულისა და ტვინის ნორმალურ ფუნქციონირებას.

Na ნატრიუმი — ფიზიოლოგიური (უჯრედგარეთ) სითხის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. არეგულირებს სისხლის წნევას და იცავს სისხლის ბუფერობას.

Zn თუთია — შედის თითქმის ყველა უჯრედის შემადგენლობაში, არეგულირებს მზარდი ორგანიზმის ნორმალურ განვითარებასა და სქესობრივ მომწიფებას. სპარსო მინერალიზაციის შედეგად 350 მგ/ლიტრზე, რაც უზრუნველყოფს გულის კუნთის ნორმალურ მუშაობას, ტვინის ქერქისა და ქერქქვეშა ცენტრების აქტივობას, თირკმლის ნორმალურ ფუნქციონირებას, ზრდის ღვიძლის დეტოქსიკაციურ ფუნქციას და ინარჩუნებს ძვლოვანი ქსოვილების ნორმალურ შემადგენლობას.

სასმელად გამოსადეგი არც ერთი სხვა წყალი (არც მდინარის, არც ტბის, არც ჭის და არც წყაროსი) არ შეიცავს ჩამოთვლილ მიკროელემენტებს ერთდროულად და საკმარისი რაოდენობით, ამიტომ მათი ყოველდღიური და ხანგრძლივი გამოყენება ორგანიზმში რომელიმე ელემენტის დეფიციტს იწვევს, შესაბამისად, — ფუნქციონალურ დარღვევებს, რასაც ეწოდება მიკროელემენტოზი. მას მიეკუთვნება ენდემური ჩიყვი, კარიესი, ფსორიაზი, პათოლოგიური სიმსუქნე და სხვ.

„ისიდა“ გამოწვლილია ოჯახური მოხმარებისთვის, ისმება ხელის ტუმბოთი აღჭურვილ 20-ლიტრიან ბალონებში.

მსაკრელები დაკრეით თბილისში: 899-16-30-21. 890-26-15-15 (ოფისი); რუსთაში: 890-11-50-99; 895-91-24-14.

საინფორმაციო ანალიტიკური სააგენტო

ს ა ქ ი ნ ფ ო რ მ ი

www.saqinform.ge

წმიდა ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსის სამკაქლო

ს.ს „გაერთიანებული ტელეკომი“	602602
შპს „ახტალი“	700818
შპს „მაგთიკომი“	200320
შპს „ჯეოსელი“	700305
შპს „ბილიანი“	200333

ფოთისა და ხობის ეპარქიის განვითარების ფონდის საბანკო რეკვიზიტია:

ს.ს „თი ბი სი ბანკის“ ფოთის ფილიალი
ბანკის კოდი 220101937; ა/ა 63636080100001; ს/კ 215141246

თანხის ჩარიცხვა შეგიძლიათ სწრაფი გადახდის აპარატებით იხ. მენუში: სხპადასხვა — ქვემოთქმედა — წმ. ანდრია პირველწოდებულის სამონასტრო კომპლექსი.

ინფორმაციისთვის მიმართეთ ფონდის დირექტორს, დეკანოზ თევდორე ბასილიას: ქ. ფოთი, ნ. ნიკოლაძის მოედანი №3, ტელ.: 8(293) 70736, მობ.: (899)936563, e-mail: eparqia-f@mail.ru

საქართველო მსოფლიო

ესტუპრეით ჩვენს სიბს

<http://www.geworld.net>

მთავარი რედაქტორი ირაქლი თოდუა
მთავარი რედაქტორის მოადგილეები: არამაზ სანაგულიძე, ზონდო მძინარაშვილი
ტექნიკური რედაქტორი ლეპან ზანბურაშვილი
ვებრედაქტორი გორბა სპაშვილი
რეალიზაციის მენეჟერი ღაბრიელ ბუაძე, ოფისმენეჟერი თათია ვაშაძიძე, ბაზეთი ხელმძღვანელოზ თაგისუფალი პრანის პრინციპებით.
მისამართი: თბილისი, დავით ბაქრაძის ქ. №6
ტელ.: 34-32-95; e-mail: info@geworld.net